



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სოფო მეტრეველი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური
და რეალური შესაძლებლობები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ს.მეტრეველი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური და რეალური შესაძლებლობები საქართველოში

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური და რეალური შესაძლებლობები საქართველოში“ შეეხება საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიებს საქართველოში. ჩვენი მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პრიორიტეტები, საინვესტიციო აქტივობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელთა ერთობლიობა საქართველოში. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა **აქტუალურად მიმაჩნია**. ჩატარებული კვლევის ამოცანაა ჩვენება იმისა, რომ აუცილებელია სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობის გაზრდა და ინვესტიციების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა მიეცეს სტიმული საინვესტიციო პროექტებში ჩასართავად (დღეისათვის ამ ზომის ბიზნესზე ბრუნვის მხოლოდ 16,7% მოდის). ჩატარებული კვლევის საგნია ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობისა და მომგებიანობის მეთოდოლოგიის, ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტების შესწავლა და გაანალიზება, **კვლევის ობიექტია** საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგად ვამტკიცებთ მას, რომ ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიღრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის **სიახლე** გახლავთ ჩვენება იმისა, რომ ქვეყანაში თვალნათელია საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობა, მაგრამ აუცილებელია რეგიონული ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების საინვესტიციო მექანიზმების ჩამოყალიბება, საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების კვლევების შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

Annotation

Sofio Metreveli

The Potential and Real Possibilities of a Direct, Foreign Investment Attraction in Georgia

Our research master work ``**The Potential and Real Possibilities of a Direct, foreign Investment Attraction in Georgia**`` is about a growth trend of investment activities and also about strategies of a Direct, foreign Investment attraction in Georgia.

Our goal was to study the investment priorities of Georgian economy and the community of investment activities and attraction indicators. Consequently, I think that our research theme is actual.

The aim of the conducted research is to show us the necessity of the state growth and improving of investment, financing mechanism. It is better to encourage small and middle-sized businesses for involving them into the investment projects. (Today only 16.7 % business return comes on this size of business).

The subject of research is to study and analysis of investment economical cost efficiency and profitability methodology and also to study and analysis of investment efficiency ratios.

The object of research is the ministry of economy and infrastructure of Georgia, the ministry of finance of Georgia and the information that is set on the website of national statistics service center of Georgia.

As a result of our research we can prove on one hand there is a big necessity of investment in the conditions of resource potential deficit and on the other hand the state does not use investments effectively because of the inflation rate, the quantity of investment and generated incomes, not very deep forecasting etc.

The novelty of our research is to show that it is obvious the effectiveness of our country's investment policy but it is important to create regional economic development investment rivaling mechanism. It is also necessary to use the results of investment creating theoretical-methodology and practical research

შინაარსი

შესავალი

თავი I

საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციები საქართველოში

- 1.1. ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა
- 1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიები
- 1.3. მსხვილი საინვესტიციო პროექტები და სწორი საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში

თავი II

ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პრიორიტეტები

- 2.1. საინვესტიციო აქტივობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელთა ერთბაშობა საქართველოში
- 2.2. რეგიონალური საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში
- 2.3. Ferrero-ს წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში

თავი III

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა და მომგებიანობის შეფასების მექანიზმები

- 3.1. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები
- 3.2. საინვესტიციო პროექტის მომგებიანობის ანალიზი
- 3.3. საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციური და რეალური შესაძლებლობები საქართველოში“ შეეხება საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიებს საქართველოში. საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას მოწმობს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ (World Bank – Doing business 2017), საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და მე-16 ადგილს იკავებს შეფასებულ 190 ქვეყანას შორის. ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობა არის სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარაინ მოთხოვნას ინვესტიციებზე. ქვეყნის, რეგონის, და დარგის საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.

საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასებას წინ უსწრებს საინვესტიციო ხასიათის არაერთი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოდგენელია მომავალი ფულადი შემოსვლების მოცულობების შეფასებისა და შედარების გარეშე სხვადასხვა კრიტერიუმებით. მთავარი მიზნისათვის ინვესტიციების აუცილებელი მოცულობა უნდა შედარდეს პროგნოზირებულ შემოსავლებს. ეს მაჩვენებელი სხვადასხვა

ფაქტორებიდან გამომდინარე განსხვავებული იქნება, როგორც შეიძლება იყოს ინფლაციის ტემპი, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდე, პროგნოზირების სიღრმე, ანალიტიკოსის კვალიფიკაციის დონე და ა.შ. ამ მეთოდში უმნიშვნელოვანესია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის პროგნოზირება, ანუ პროდუქციის გასაღების ბაზრის შესაძლო ტევადობის ანალიზი.

უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება: განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო გამოიყენება, რაღა კაპიტალის მოზიდვით მიღებული იქნეს მაქსიმალური დადებითი შედეგები. საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არსებული საინვესტიციო პოლიტიკის შეფასება, განვახორციელოთ სტრატეგიის კორექტირება, ოპტიმიზაცია, რათა მივიღოთ მეტი ეფექტი. საინვესტიციო სამიქნობის მომგებიანობის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ: საინვესტიციო პროექტის ღირებულება, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, მარკეტინგული კვლევები, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები, პირდაპირი მარკეტინგი, უსაფრთხოების ხარჯები და ა.შ.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები, კერძოდ: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ასევე უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის მასალები, და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდი, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტგვერდზე და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია.

თავი I

საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციები საქართველოში

1.1. ინვესტიციების სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

ტერმინი „ინვესტიცია“ ლათინური სიტყვა investire-დან წარმოიშვა, რაც თარგმანში შემოსვა, ჩაცმას ნიშნავს. საბჭოთა ეკონომიკის პირობებში იყენებდნენ ტერმინს „კაპიტალური დაბანდებები“, ანუ დანახარჯები ძირითადი ფონდების კვლავწარმოებასა და სრულყოფაზე. ინვესტიციების, როგორც კატეგორიის ჩამოყალიბება მოხდა საბაზრო ეკონომიკური მოდელის მიღებასთან ერთად. ზოგადად ინვესტიციების ცნების ქვეშ იგულისხმება კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. „თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში „ინვესტიციების“ ცნებისადმი განსხვავებული განმარტებებია ჩამოყალიბებული. ცნობილი ბრიტანელი ეკონომისტის, თეორიული მაკროეკონომიკის ერთ-ერთ ფუძემდებლად წოდებული ჯონ კეინსის აზრით: ინვესტიციების ცნება ახლოს დგას დანაზოგების ცნებასთან. ერთი თავის თავში მოიცავს მეორეს. ისინი ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, რადგან თითოეული მათგანი მოხმარებაზე შემოსავლის გადამეტების ტოლია.“¹ ინვესტიციები წარმოუდგენელია დანაზოგების გარეშე, მაგრამ დანაზოგი თავისით ინვესტიციად ვერ გარდაიქმნება, ინვესტიციებად გადაიქცევა ის დანაზოგები, რომელთაც ირიბად თუ პირდაპირ იყენებენ სამომავლოდ წარმოების გასაფართოებისა და დამატებითი შემოსავლის მიღებისათვის. „საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტიციებმა გაცილებით ფართო

¹ ბარათაშვილი ევგ. ბაგრატიონი ლ. კვაზირიძე თ. სახელმწიფო ინვესტიციების ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. სახელმძღვანელო. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. გვ. 156-164. 2016 წელი

სფეროები მოიცვა, იგი გულისხმობს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგის მიღების მიზნით, იგი გამოხატავს, აგრეთვე, რეალურ აქტივებს, მაგალითად, რაიმე საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის საჭირო მანქანებს, ან კიდევ, ინვესტიციებია ფულადი სახსრები, მიზნობრივი საბანკო ანაბრები, პაიები, აქციები, და სხვა ფასიანი ქაღალდები, ტექნოლოგიები, მანქანები, მოწყობილობა, ლიცენზიები, ქონება ან ქონებრივი უფლებები, ინტელექტუალური ღირებულებები და ა.შ.²

ბრიტანელი პილიტეკონომისტი, კლასიკური ეკონომიკის ცნობილი წარმომადგენელი დევიდ რიკარდო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დანაზოგის ფენომენს, რადგან მასში ხედავს გამდიდრებისაკენ სავალ ყველაზე რეალურ გზას, მაგრამ ასევე საუბრობს შესაძლო წინააღმდეგობებზეც.

ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის უილიამ შარპის განმარტებით, ინვესტიციები ეს არის „ფულთან განშორება დღეს, ხვალ უფრო მეტის მიღების მიზნით“. თანამედროვე ბიზნეს სკოლების განმარტებებით ინვესტიციები ხელს უწყობენ საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, ისინი აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში. სწორედ ინვესტიციები წარმოადგენენ სახელმწიფოს კრიზისის პირობებში ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

ინვესტიციებს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

- ინვესტიციები, როგორც წესი, გულისხმობს მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს;
- უკუგება ინვესტიციისაგან შეიძლება მიღებულ იქნას რამდენიმე წლის შემდეგ;

² ასლამაზიშვილი ნ. ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოს მრეწველობაში და მისი გადაჭრის გზები. დისერტაცია. გვ. 133-139. 2018 წელი

- ინვესტირებისას არსებობს რისკისა და გაურკვევლობის ელემენტები;
- ინვესტიციები გულისხმობს:ძირითადი კაპიტალის შექმნას, საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას, ან ნებისმიერ სხვა დანარჩენს, რომლებიც მიმართულია ეფექტიანობის ზრდისაკენ და ა.შ.

ინვესტიციები წარმოადგენს ინვესტირებული სახსრების მეშვეობით დღევანდელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გაცვლას მოთხოვნის სამომავლო დაკმაყოფილებაზე, ანუ ინვესტიცია უილიამ შარპის მსგავსად ნიშნავს: დღეს ფულის გამეტებას იმისათვის, რომ მომავალში უფრო მეტი მიიღო. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციები განიხილება, როგორც გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ნებისმიერი ფორმით საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ, საწარმოში, პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში, მოგების მიღების მიზნით დაბანდებიდან გარკვეული ვადის შემდეგ.

„საქართველოს კანონმდებლობით „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად და უპირობოდ არის დაცული“. საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო ბაზის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის უზრუნველყოფისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება.“³ საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კანონებია:

- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 1996 წელს;
- „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 2002 წელს;
- „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 2006 წელს.

³ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 64-65

- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მიხედვით, ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება. რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, მიიჩნევა ინვესტიციად, კერძოდ: უძრავი და მოძრავი ქონება (შენობა – ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობები, ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის უფლება, რომელიც კანონითაა აღიარებული, ასევე სხვა ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც კანონითაა აღიარებული.

აღნიშნული კანონის თანახმად უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის დაწესებულია თანაბარი რეჟიმი, ანუ მოქმედების თანაბარი პირობები და უფლებები. ამავე კანონში განსაზღვრულია ის სფეროები, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალულია ინვესტირება, კერძოდ:

- ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;
- უცხო ქვეყნიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;
- ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებული სამეცნიერო – კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
- ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;
- ფულადი ნიშნების, მონეტების, საფოსტო მარკების წარმოებაში და სხვა.
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით კრძალულ საქმიანობაში.

კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, განსაზღვრავს ამ სააგენტოს როლსა და უფლებებს, უცხოური ადგილობრივი საწარმოებისათვის ხელშეწყობის მიზნით პროგრამის განხორციელებას. ამ კანონის მიმართ ექსპერტებს გააჩნიათ შენიშვნები, რაც არ არის საფუძველს მოკლებული და მდგომარეობს იმაში, რომ პროგრამების განხორციელება დიდი ხანია დასრულდა და

სააგენტოსთვის კანონით მინიჭებული ფუნქციები, აღარ შეესაბამება მის ამჟამინდელ სტატუსს და შესაძლებლობებს. მაგალითად, არავის შეუსრულებია სააგენტოში სავალდებულო რეგისტრირებისა და საინვესტიციო გეგმების შესახებ ყოველწლიური ანგარიშების წარდგენის მოთხოვნა 100000 აშშ დოლარზე მეტი კაპიტალდაბანდებისას. გასაქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის. „ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის მეტად მნიშვნელოვანია უცხოელ ინვესტორთა უშუალო მონაწილეობა წარმოების პროცესში, ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს კრიზისიდან გამოყვანისა და ბიზნესის განვითარებისათვის. იგი ხელს შეუწყობს საზღვარგარეთის პროგრესული ტექნოლოგიების ეროვნულ ბიზნესში განვითარებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების დანერგვას, ადგილობრივი ბიზნესის ექსპორტის გაზრდას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. გააფართოვებს საქართველოს საგარეო კონტაქტებს და ეკონომიკის მსოფლიოში ინტეგრირებას. როცა ინვესტიციებზე, მითუმეტეს უცხოურ ინვესტიციებზე ვმსჯელობთ, არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინვესტორთა რაოდენობა, არამედ ხარისხიც. უცხოური ინვესტიციები-უმთავრესად ახალი ტექნოლოგიები, სრულყოფილი მენეჯმენტი, პროდუქციის მაღალი ხარისხი უნდა იყოს. სწორედ ესაა, რაც აკლია ადგილობრივ ბიზნესს ეფექტიანად მუშაობისათვის.“⁴

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტების თანახმად, პირდაპირი ინვესტიცია არის: „უცხო ქვეყნის რეზიდენტის მიერ ისეთ ადგილობრივ საწარმოში გაკეთებული ინვესტიცია, რომლის მართვაზეც მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს“,

⁴ რ.ქუთათელაძე, გ.ყურაშვილი. ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში. ჟურნალი ბიზნესინჟინერინგი. თბ. 2015, #3, გვ. 76-79

რაც გულისხმობს, რომ ინვესტორი უნდა ფლობდეს კომპანიის აქციათა 10%-ზე მეტს, რაც საჭიროა ხმის მიცემის უფლებისათვის, რათა ჩაითვალოს პირდაპირ ინვესტორად. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ყველა განვითარებადი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს. საქართველოს სურს, თავი დააღწიოს სიღარიბეს და დაეწიოს მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებს. ამისათვის საჭიროა გარე რესურსები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შიდა (ადგილობრივი) დანაზოგები ძალიან მცირეა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია.⁵ მსოფლიო ბანკის მოხსენების „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ 2010“ მიხედვით, საქართველო მსოფლიო 87 ქვეყანას შორის ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. მსოფლიო ბანკის კვლევა „ინვესტიციები საზღვრებს გარეთ“ ანალიზებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მსოფლიოს 87 ქვეყანაში. კვლევის ინდიკატორები ფოკუსირებულია 4 თემატურ საკითხზე, კერძოდ, თუ როგორ ახერხებს უცხოური კომპანია ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირებას, საქმიანობის წამოწყებას, მიწის ფლობასა და ბიზნესთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტას. საქართველოში ბიზნესის დასაწყებად საკმარისია 4 დღე, მაშინ, როდესაც პოლონეთში ამისათვის საჭიროა 33 დღე, რუსეთში-31 დღე, საბერძნეთში-22 დღე, ბულგარეთში-20 დღე, სომხეთში-18 დღე, თურქეთში-8 დღე. ბიზნესის დაწყების პროცედურები ყველაზე მეტ ხანს-თითქმის 6 თვეზე მეტს მოითხოვს ანგოლასა (263 დღე) და ჰაიტიში (212 დღე). აღსანიშნავია, რომ 4 დღეზე ნაკლებ დროში მსოფლიოს არც ერთ გამოკვლეულ ქვეყანაში არაა შესაძლებელი ბიზნესის დაწყება.

⁵ მახვილაძე დ. უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მათი რეგულირება. დისერტაცია. გვ. 82-86 2018 წელი.

საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობას მოწმობს ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით ბიზნესის კეთების სიმარტივის შესახებ (World Bank – Doing business 2017), საქართველო ერთ-ერთი ყველაზე გახსნილი ქვეყანაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და მე-16 ადგილს იკავებს შეფასებულ 190 ქვეყანას შორის.

	კრიტერიუმები	დაკავებული ადგილი	გაუმჯობესებული კრიტერიუმი 2017 წელს
1	ბიზნესის დაწყება	8	
2	სამშენებლო ნებართვის აღება	8	
3	ელექტროენერჯის მიწოდება	39	✓
4	უძრავი ქონების რეგისტრაცია	3	✓
5	კრედიტის აღება	7	
6	მინორიტარი აქციონერების უფლებები	7	✓
7	საგადასახადო სისტემა	22	✓
8	საგარეო ვაჭრობის სიმარტივე	54	✓
9	ხელშეკრულების აღსრულება	16	
10	გადახდისუუნარობის საქმის წარმოება	106	


წყარო: World Bank – Doing business 2017

ცხრილში მოცემულია ბიზნესის კეთების სიმარტივის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს პოზიცია 10 კრიტერიუმით.

„2015 წელს გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი) 38% -ით გაიზარდა და მიაღწია \$1,76 ტრილიონს, რაც არის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ, ხოლო 10%-ით დაბალი ვიდრე ეს იყო 2007 წელს. ყოველივე ეს განაპირობა 2014 წელს კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის ოპერაციებმა, რომელიც გაიზარდა \$432 მილიარდიდან \$721 მილიარდამდე. აღნიშნული ოპერაციების დიდ ნაწილს მულტინაციონალური კორპორაციები (მნკ) ახორციელებენ. ზემოთაღნიშნული საშუალოდ გამოიწვევს გლობალური პუის 15%-იან ზრდას 2017-2018 წლებისთვის. გრინფილდ ინვესტიციები კვლავ რჩება საკმაოდ მაღალ ნიშნულზე, \$766 მილიარდზე. 2016 წელს ნავარაუდები იყო პუი-ს ნაკადების შემცირება 10-15%-ით გლობალური ეკონომიკური ვარდნის, ერთობლივი მოთხოვნის კლების და მნკ-ების მოგების შემცირების გამო. პუი-ს ნაკადების შემცირება ნავარაუდებია როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში, რაც ასევე შეამცირებს კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის და გრინფილდ ინვესტიციებს. საშუალოვადიან პერიოდში გლობალური პუი-ს ზრდა ნავარაუდებია 2017 წლიდან, რომელიც მიაღწევს \$1.8 ტრილიონს 2018 წლისთვის.“⁶

ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობა არის სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარიან მოთხოვნას ინვესტიციებზე. ქვეყნის, რეგონის, და დარგის საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას,

⁶ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 64-65



*პროგნოზი 2016-2018 წწ

წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას. საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირება ნავარაუდევია იყო როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში, რამაც ასევე შეამცირა კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმის და გრინფილდ ინვესტიციები. საშუალოვადიან პერიოდში გლობალური პუი-ს ზრდა ნავარაუდევია იყო 2017 წლიდან, რომელმაც 2018 წლისთვის მიაღწია \$1.8 ტრილიონს.


დიაგრამაზე წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები სხვადასხვა ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფებისათვის 2018 წლამდე (მილიარდი აშშ \$).

1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიები

„საბაზრო ეკონომიკური მოდელის მიღების შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალი სახელმწიფოების მთავრობებმა გააცნობიერეს ინვესტიციების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და აღმშენებლობის პროცესში და დაიწყეს პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. ე.წ. განვითარებადი ქვეყნებში, რომელთა რიცხვსაც საქართველოც მიეკუთვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ისინი მზად არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებული მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილონ.“⁷ ინვესტიციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რადგანაც სწორედ ისინი განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გრძელვადიან ასპექტში, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და საბანკო სისტემა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ისეთ დონეზე, რომ ეკონომიკის სტაბილურად და იაფი სესხებით მომარაგება შეძლოს.

„გლობალიზაციისა და ლიბერალიზაციის მსოფლიო ეკონომიკის შეცვლის ძირითადი განმსაზღვრელი პროცესები შეეხო საინვესტიციო სფეროსაც. ღია ეკონომიკის პირობებში, გაყიდვების, ტექნოლოგიებისა და კაპიტალის მზარდი მოცულობის დროს გაერთიანების დარეგულირება და პრივატიზება, უადვილებს ფირმებს საზღვარგარეთ საქონლის ხელმისაწვდომობას, მომსახურებას და წარმოების არამობილურმა ფაქტორებმა გაზარდა კონკურენცია წინათ დაცულ შიდა ბაზრებზე და აიძულა ფირმა ინვესტორებს საზღვარგარეთ მოემბნათ ახალი ბაზრები და რესურსები. ამავდროულად ტექნოლოგიურმა სიახლეებმა გააფართოვეს ფირმის შესაძლებლობები, კორდინირება გაუწიეს თავიანთი საქმიანობის საერთაშორისო

⁷ ასლამაზიშვილი ნ. ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოს მრეწველობაში და მისი გადაჭრის გზები. დისერტაცია. გვ. 133-139. 2018 წელი



წყარო: UNCTAD, World Investment Report, Investor Nationality: Policy Challenges 2016

წარმოების ქსელს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ფირმებმა დაიწყეს შესაძლებლობების მოდიფიცირება იმისათვის, რომ მიეღწია მიზნისათვის-საზღვარგარეთ ინვესტირებისათვის. ფირმების უმრავლესობამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების

შემთხვევაში, განავითარა თავისი კონკურენტული შესაძლებლობები აქტივების პორტფელის დამატებით.“⁸

XX საუკუნის 90-იან წლებამდე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობა არასტაბილურად ვითარდებოდა. თუმცა შემდეგ ნიშვნელოვნად იწყო ზრდა : \$55 მილიარდიდან 1980-იან წლებში, \$220 მილიარდამდე 1992 წლისათვის და 2007 წელს თითქმის \$2 ტრილიონ დოლარს გაუთანაბრდა. თუმცა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვნად იკლო. 2008 წელს 10%-იანი ვარდნა განიცადა და 1,75 ტრილიონს გაუთანაბრდა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე მრავალი მაკროეკონომიკური თუ პოლიტიკური ფაქტორი მოქმედებს.

მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით ქვეყნის საინვესტიციო მომხიბლველობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია: კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა. ეს უკანასკნელი შესაძლოა საფრთხის მატარებელი იყოს განვითარებადი ქვეყნისათვის, ვგულისხმობთ „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვას, ამას შეგვიძლია ინვესტიციურმა სიხარბის კლასიფიკაცია მივცეთ რამაც მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. ამის ნათელი მაგალითი გვქონდა საქართველოს უახლეს ისტორიაში. კომპანია „ტრამექსმა“ საქართველოში ფუნქციონირება 1991 წელს დაიწყო და ნავთობისა და გაზის გადამუშავების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. თუმცა, 1996 წელს ედუარდ შევარდნაძის ბრძანების თანახმად, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ შექმნის შემდგომ „ტრამექსს“ ეს უფლება ჩამოერთვა. კომპანია „ტრამექსმა“ დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით რა თქმა უნდა საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 98 მილიონი დოლარის გადახდა დაეკისრა. საქმე

⁸ რ.ცინარიძე, რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. დისერტაცია. 2012 წ. გვ. 73

საერთაშორისო სკალნდალში გადაიზარდა, როდესაც საქართველოს მთავრობამ ებრაელი ბიზნესმენები ქართველი მაღალჩინოსნებისთვის 7 მლნ დოლარის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა და დააპატიმრა.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში თითქმის თანამედროვე ეტაპამდე რჩება იაფი მუშახელი სმქონე ყვეყნად. გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საქართველოში ინვესტიციები თითქმის მთლიანად რეგიონული მნიშვნელობის გაზსადენებსა თუ მილსადენებში ხორციელდებოდა, რის შედეგადაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა მაქსიმალურად გამოიყენეს საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა. უცხოურმა კომპანიებმა კარგად განვითარებული ტექნოლოგიებით საქართველოში საკუთრების უპირატესობის გამოყენებაც შეძლეს, შემდეგ კი მათ ინტერნალიზაციის უპირატესობის მოპოვებაც შეძლეს რამაც, თავის მხრივ, სხვადასხვა დარგებში, უფრო მსხვილი ინვესტიციების მოზიდვა განაპირობა. „ინვესტიციების ხელშეწყობა მარტივად მიმდინარეობს, როდესაც იგი საერთო ეროვნული განვითარების სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. უცხოური კაპიტალის მოზიდვა ნებისმიერი რეგიონული მცირე და საშუალო ბიზნესის, ან ზოგადი სამრეწველო სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია. ევროკავშირს ახალი წევრი ქვეყნები და წევრობის კანდიდატები მოტივირებული არიან სწორედ ასეთი სტრატეგიების შემუშავებით, რადგან სწორედ ამ სტრატეგიებიდან გამომდინარე ხდება ევროკავშირის სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების გაცემა. ახალი თანამედროვე საერთაშორისო დონის წარმოების დასაწყებად ინვესტიციების მოზიდვაზე ყურადღების გამახვილებით საქართველომ უნდა შეძლოს პრაქტიკული სტრატეგიების შერწყმა და უცხოური კაპიტალის დახმარებით ადგილობრივი ბაზრების აღორძინება-განვითარება.“⁹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი თანმდევნი დადებითი ეფექტები შეგვიძლია ჩამოვთვალოთ:

⁹ რ.ქუთათელაძე, გ.ყურაშვილი. ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში. ჟურნალი ბიზნესინჟინერინგი. თბ. 2015, #3, გვ. 76-79

- ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- ეკონომიკური ზრდა;
- ადგილობრივი მონოპოლიების მოსპობა;
- საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

„პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადი 2015 წელს ტრანსპორტის სფეროში შეინიშნებოდა, მას მოჰყვა საფინანსო სექტორი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, სასტუმროები და რესტორნები, ენერჯეტიკა და მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ ენერჯეტიკის სფეროში პუი-ს რაოდენობა 2011-2014 წლებში გაცილებით მეტი იყო 2015 წელთან შედარებით. მშენებლობა 2015 წელს 2014 წელთან შედარებით მკვეთრად იყო შემცირებული, თუმცა 2011-2013 წლების ჩათვლით პერიოდს თუ შევადარებთ, საკმაოდ მაღალი დარჩა. პუი სასტუმროებსა და რესტორნებში 2014 წლიდან დიდი რაოდენობით გაიზარდა, ასევე საფინანსო სექტორიც, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელში ინვესტირებული თანხების რაოდენობა წლების მიხედვით ერთსადაიმავე დიაპაზონში მერყეობდა და არა ქონდა მკვეთრი ცვლილებები (თუ არ ჩავთვლით 2015 წელსა და 2014 წელს შორის პუის რაოდენობის სხვაობას). რაც შეეხება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სექტორს, წინა წლებთან შედარებით ინვესტირებული თანხების რაოდენობა 2015 წელს საკმაოდ მაღალი იყო.“¹⁰

ცხრილში წარმოდგენილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით (წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

საქართველოში თავისუფალ ეკონომიკურ ზონების შექმნის ისტორია 1878 წელს, ბერლინის კონგრესიდან იწყება, სადაც თურქეთის მიერ რუსეთისათვის

¹⁰ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 82

ბათუმის გადაცემის საკითხი წყდებოდა. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მარკი სოლსბერის მოთხოვნით, რუსეთმა ივალდებულა ბათუმი „პორტო ფრანკოდ“, საბაჟო გადასახადებისგან თავისუფალ ტერიტორიად გამოეცხადებინა. რუსეთმა ბათუმი „პორტო ფრანკოდ“, 1978 წლის 8 ოქტომბერს გამოაცხადა. ეს რეჟიმი 8 წელიწადი გაგრძელდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირებისათვის შემდგომი

ათასი აშშ დოლარი

	2011	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	1,117,244.1	911,564.3	941,902.6	1,758,422.9	1,564,499.8	1,645,368.6
მათ შორის:						
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	14,907.6	16,119.3	11,857.4	12,290.3	14,577.6	9,982.0
სამთომშობვებითი მრეწველობა	40,219.6	4,862.2	43,704.9	42,781.5	88,027.8	38,076.5
დამამუშავებელი მრეწველობა	120,339.7	167,906.5	99,765.1	205,417.4	67,174.6	120,381.3
ენერგეტიკა	203,951.6	179,402.6	244,745.1	189,945.0	123,663.8	202,739.4
მშენებლობა	48,112.2	41,839.2	49,847.5	316,588.1	110,678.4	163,499.0
სასტუმროები და რესტორნები	22,705.6	17,652.3	-13,360.1	124,851.8	138,815.3	110,835.4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	126,517.2	72,828.9	140,104.4	433,654.7	584,648.7	645,002.8
მათ შორის:						
ტრანსპორტი	605,297.6	657,812.5
კავშირგაბმულობა	-20,648.8	-12,809.7
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	16,827.0	17,550.8	720.0	-9,507.6	140,325.6	27,151.3
უძრავი ქონება ¹	224,776.3	52,805.6	42,294.6	138,654.8	89,940.4	69,738.6
საფინანსო სექტორი ²	167,701.8	162,552.2	166,386.3	115,322.6	178,553.5	135,808.1

ნაბიჯი 1980–იან წლების ბოლოს გადაიდგა და ეს პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონებით დაინტერესება 1992 წლიდან დაიწყო. „საქართველოში არსებობს 5 თავისუფალი ეკონომიკური ზონა: 1 ბათუმში, 2 ქუთაისში, 1 ფოთში და თბილისში. ქუთაისში თეზ–ი 2009 წლის 5 ივნისს შეიქმნა და მისი ფართობი 27 ჰა–ია. ეს ზონა ეგვიპტურმა კომპანიამ „FRESH“ და ქართულმა კომპანიამ „GEORGIAN INTERNATIONAL HOLDING“ მოაწყვეს. ეგვიპტური კომპანიის მიერ განხორციელდა 115 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიცია და დასაქმებულია 450 ადამიანი, მათგან 98% ადგილობრივი მოსახლეობაა. ფოთში არსებული არსებული კომპანია „Rakia Georgia Holding“ აშენებდა მოცემულ ზონას და მისი ბიუჯეტი 22 000 ლარს შეადგენდა. ფოთის ინდუსტრიული ზონა ოფიციალურად 2010 წლის 23 ნოემბერს გაიხსნა. აჭარის თეზი მოიცავს მთელ ხელვაჩაურის რაიონს, სადაც უნდა დასაქმებულიყო 4600 ადამიანი.“¹¹

1.3. მსხვილი საინვესტიციო პროექტები და სწორი საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში

ერთ-ერთი უდიდესი უცხოელი ინვესტორი, რომელიც ჯერ კიდევ 1990–იან წლებში შემოვიდა საქართველოში გახლდათ ბრიტანული მულტინაციონალური ნავთობისა და გაზის გიგანტი კომპანია BP. ის საწვავის ინდუსტრიის ყველა სფეროში მუშაობს: საწვავის აღმოჩენა და წარმოება, გადამუშავება, დისტრიბუცია და მარკეტინგი, ნავთობქიმია, ენერჯის გენერირება და ვაჭრობა, განახლებად ენერჯიაზე მუშაობა ბიოსაწვავებსა და ქარის ენერჯიაში.


კომპანიის პირველი ინვესტიცია საქართველოში იყო ბაქო-სუფსის მილსადენი, იგივე „დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი“ (WREP), რომელიც 830

¹¹ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 64-65

„საქართველოში შემოდინებული და საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმპორტიორი ქვეყანაა“. სქემა შედგენილია პროფ. ვ.ჭარაიას მიერ სეზი-ის და მსოფლიო ბანკის მოცემებზე დაყრდნობით.

(წყარო: ვ.ჭარაია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის-საქართველოს მაგალითზე. დისერტაცია, თსუ. 2015. გვ 45.)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და ქართულის გადინება (\$ მლნ)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, სეზი-ის და მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით

კილომეტრის სიგრძისაა. იგი სუფსის ტერმინალამდეა გაჭიმული და გადააქვს კასპიის ზღვის შირაქის საბადოდან მოპოვებული ნავთობი. მილსადენის თითქმის ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე გადის, იგი 1999 წლიდან უსაფრთხოდ და წარმატებით მუშაობს. თუმცა ავარიული სიტუაციების გამო 2008 წლამდე ზესტაფონთან და აზერბაიჯანის ტერიტორიის მტკვარზე რაღაც მონაკვეთების შეკეთება მოუხდათ. ეს ყველაფერი ჯამში კომპანიას 53 მილიონი დოლარი დაუჯდა. უსაფრთხოების მიზნით მილსადენის მუშაობის აგვისტოს ომის დროსაც შეაჩერეს. დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი პირველია იმ სამ ძირითად პროექტს შორის, რომელიც BP-მ საქართველოში განახორციელა. სუსფის ტერმინალი 1999 წლის აპრილში გაიხსნა, როდესაც ტერმინალიდან ნავთობით დატვირთული პირველი ტანკერი გავიდა. პროექტში მრავალი ქართველი დასაქმდა, ასევე გაიცა კომპენსაციები მათზე, ვის საკუთრებაში არსებული მიწების დროებით გამოყენების აუცილებლობა წარმოიშვა მილსადენის მშენებლობის დროს.

„BP-ის მიერ მეორე მილსადენი საქართველოში გაყვანილ იქნა 2006 წელს, ესაა ყველასათვის კარგად ნაცნობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენია (BTC), იგი სამ ქვეყანაზე გადის: 433 კილომეტრი აზერბაიჯანში, 249 - საქართველოში და 1076 - თურქეთის ტერიტორიაზე (ჯამში 1 768 კმ-ს შეადგენს) და ბაქოს, საქართველოს გავლით, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირა პორტთან, ჯეიჰანთან აკავშირებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი რეგიონალური მნიშვნელობის პროექტია, რადგან მან ბოსფორის გადატვირთული სრუტის გვერდის ავლით კასპიის ზღვა პირდაპირ ხმელთაშუა ზღვასთან დააკავშირა. მილსადენის მშენებლობა საქართველოში 2005 წელს დასრულდა და ნედლი ნავთობის პირველი პარტიის ექსპორტი თურქეთში მდებარე ჯეიჰანის ტერმინალში 2006 წლის ივნისში განხორციელდა.“¹²

¹² https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/ka_ge/georgia/home/sustainabilityreportsgeo/sustrep2010.pdf

BP საქართველოში-მდგრადი განვითარების ანგარიში 2014 (გადამოწმებულია 26.05.2019)

მესამე პროექტი, რომელიც საქართველოში BP-ის ეკუთვნის, 692 კილომეტრის სიგრძის სამხრეთ კავკასიის გაზსადენია (SCP), რომლის მშენებლობაც 2006 წელს დასრულდა და რომელიც აზერბაიჯანიდან, კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოდან, თურქეთამდე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პარალელურად გადის საქართველოს გავლით. მისი მთავარი მიზანი თურქეთისა და საქართველოს გაზით მომარაგებაა. როგორც სატრანზიტო ქვეყანას, საქართველოს უფლება აქვს, გაზის წლიური მიმოქცევიდან ხუთი პროცენტი აიღოს და კიდევ 0,5 მილიარდი კუბური მეტრი ყოველ წელს ფასდაკლებით შეისყიდოს. სწორედ ამ საინვესტიციო პროექტებს უკავშირდება ბევრი ისეთი გეგმა, რაც საქართველოს, როგორც დერეფანს, კიდევ უფრო მეტ სტრატეგიულ მნიშვნელობას მიანიჭებს.

„ამჟამად, BP საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ინფრასტრუქტურის და სოციალური განვითარების პროექტებში 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დააბანდა. 1996 წელს BP-ის საქართველოში რამდენიმე თანამშრომლით ჰყავდა, მილსადენების მშენებლობისას მათი რიცხვი 6 ათასამდე გაიზარდა; დღეს BP-ის დაახლოებით 480 ადამიანი ჰყავს დასაქმებული, მათი 95% კი საქართველოს მოქალაქეა.“¹³

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის საინვესტიციო პროექტი.

„ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის განხორციელება 2016 წელს დაიწყო. იგი ანაკლიის მიმდებარედ, 340 ჰექტარის ფართობის ტერიტორიაზე აშენდება. პორტის მშენებლობისა და განვითარების ღირებულება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. ანაკლიის პორტი აშენდება რამდენიმე ეტაპად, მოიცავს 9 ფაზას და, საბოლოო ჯამში, მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 100 მილიონ ტონას მიაღწევს. პროექტი საქართველოში ათასობით ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. პორტის პირველი ფაზის გახსნა და პირველი გემების მიღება 2020-2021 წლებში იგეგმება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის უპირატესობებია მისი სტრატეგიული

¹³ https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/ka_ge/georgia/home/sustainabilityreportsgeo/sustrep2010.pdf

BP საქართველოში-მდგრადი განვითარების ანგარიში 2014 (გადამოწმებულია 26.05.2019)

მდებარეობა, მაღალი გამტარუნარიანობა, ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარება, ლოგისტიკური სერვისების შესაძლებლობა და გაფართოების პერსპექტივა, მას საქართველოს რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად, ხოლო აბრეშუმის გზის ისტორიულ მარშრუტზე სტრატეგიულ კვანძად აქცევს. ანაკლიის პორტი, რომელსაც უკვე უწოდეს „საუკუნის პროექტი“, რეგიონში დამატებითი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების წინაპირობაა.“¹⁴

2017 წლის 24 დეკემბერს ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოების დაწყების ოფიციალური ღონისძიება გაიმართა. თითქმის ერთი წლის შემდეგ, რაც მთავრობასთან საინვესტიციო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. მშენებლობას „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ ზედამხედველობს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი გუნდში უმსხვილესი ამერიკული ოპერატორის შემოსვლაა, რომელიც მსოფლიოს 250 ლოკაციაზე მუშაობს. იგი ასევე ანაკლიის პორტის ერთ-ერთი ინვესტორი იქნება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის შერჩეულ ტერმინალის ოპერატორთან, მსხვილ ამერიკულ კომპანია SSA Marine-თან შეთანხმებას ხელი 2017 წლის აგვისტოში მოეწერა. SSA Marine-ი, რომელიც 66-წლიანი ისტორიის მქონე ოჯახური ბიზნესია, დღეს 250 ლოკაციაზე მუშაობს. მსოფლიოს 5 კონტინენტზე. ანაკლია SSA Marine-ის შემდეგი სადგურია. „კონტი ჯგუფის“ შემდეგ SSA Marine-ი მეორე მსხვილი ამერიკული კომპანიაა, რომელიც ანაკლიის პორტის მშენებლობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან ინვესტიციას ახორციელებს. კომპანიას ანაკლიის პორტის საკონტეინერო ტერმინალის ოპერირების უფლება 20 წლის ვადით გადაეცემა და პროექტის ერთ-ერთი ინვესტორი ხდება. SSA Marine-ი ანაკლიის საკონტეინერო და ნაყარი ტვირთის ტერმინალების ოპერირებას 20 წლის ვადით იბარებს, მათ უკვე დაიწყეს ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ერთად პროექტზე მუშაობა. დიდი სამუშაო ჩატარდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გენერალური გეგმის დასამტკიცებლად.

¹⁴ http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf
ჟურნალი „ანაკლია“ #5. დეკემბერი. 2017 წელი. (გადამოწმებულია 26.05.2019)

დაახლოებით 600-გვერდიან დოკუმენტზე ერთი წლის განმავლობაში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ერთად საერთაშორისო კომპანია MTBS-ი მუშაობდა. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერატორი SSA Marine-ი ხუთ კონტინენტზე, 250-ზე მეტ სტრატეგიულ ტერმინალზე ოპერირებს და წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ემსახურება. SSA Marine-ი დიზაინის, ოპერირებისა და პროექტების განვითარების თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიების სტანდარტებს ამკვიდრებს, რითაც კომპანიამ უკვე შეძლო მსოფლიოში სატერმინალ ოპერაციების ტემპებისა და ეფექტურობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

„მომზადდა ანაკლიის ნავსადგურის წინასწარი დიზაინი, რომლის შედგენაშიც ჩართულნი იყვნენ წამყვანი საერთაშორისო კომპანიები: Moffatt & Nichol-ი, Royal HaskoningDHV-ი და Van Oord-ი. მომზადდა და დამტკიცდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განაშენიანების რეგულირების გეგმა. აქტიურად დაიწყო მუშაობა ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარებაზე, რომელსაც კომპანია „ანაკლია სითი“ ხელმძღვანელობს. მისი გუნდი 2017 წლის ივნისში შემოუერთდა ანაკლიის განვითარების კონსორციუმს და ამ დროისათვის უკვე 100-მდე კომპანიასთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. უკვე გააფორმეს მემორანდუმი სხვადასხვა ლოგისტიკურ კომპანიასთან–მაგალითად, „ჰანტოს ლოგისტიკთან“, „გებრიუდერ ვაისთან“. თანამშრომლობენ სამხრეთ კორეის ინჩეონის თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და მასშტაბური ეკონომიკური ზონისა და ქალაქის მაგალითია.“¹⁵

„ეს პორტი საშუალებას მისცემს არა მხოლოდ ამ რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მცხოვრებლებს, სრულიად სხვა შესაძლებლობები გაიჩინონ საკუთარი ბიზნესისთვის, წამოიწყონ სრულიად ახალი საქმე. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე ათასი ადამიანი დასაქმდება ჯერ მხოლოდ მშენებლობის პროცესში, ხოლო შემდეგ, დღეს მწელიც კია, გამოვთვალოთ ის ეფექტი ჩვენს ეკონომიკაზე, რომელსაც ეს

¹⁵ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ჟურნალი „ანაკლია“ #5 დეკემბერი. 2017. გვ. 10 http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf გადამოწმებულია 26.04.2019.

პორტი მოიტანს. ეს არის რეალობა, აქ არაფერია გადაჭარბებული. ამ პორტის გარშემო, რამდენიმე ათასი ჰექტარი განვითარდება, როგორც საწარმოო, სასაწყობე, ლოგისტიკური და, რა თქმა უნდა, საცხოვრებელი ახალი ზონა. ეს იქნება უდიდესი დინამიკა, რომელიც გაჩნდება ჩვენს ქვეყანაში და ეს იქნება სრულიად ახალი შესაძლებლობები ინოვაციური, ლოგისტიკური, ინდუსტრიული ახალი საქართველოსთვის.¹⁶

ანაკლიის ნავსადგურის პირველი ფაზის სამშენებლო სამუშაოები 2017-2021 წლებში, 110 ჰექტარი ფართობის ტერიტორიაზე განხორციელდება. ამ პერიოდის განმავლობაში აშენდება ინფრასტრუქტურა, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, მიიღოს 10,000-კონტეინერიანი (TEU) პანამაქსის და პოსტპანამაქსის ტიპის გემები, რომელთაც დღესდღეობით საქართველოში არსებული სხვა პორტები ვერ ემსახურება. 2021 წლისთვის ანაკლიის პორტი 900,000-მდე TEU კონტეინერის და 1.5 მილიონი ტონა მშრალი ნაყარი ტვირთის გატარებას შეძლებს. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პირველი ფაზის საინვესტიციო მოცულობა 540 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ დროისთვის მოზიდული კაპიტალი 190 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. მოლაპარაკებებს გრძელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, საიდანაც 350 მილიონი აშშ დოლარის მოძიება იგეგმება. ანაკლიის მშენებლობა უდავოდ დიდი ინტერესის საგანია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. პროექტს აქვს პოზიტიური გამოხმაურება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური კომპანიების მხრიდან. ახალი პორტი ქმნის ახალ შესაძლებლობებს როგორც გადამზიდავი კომპანიებისთვის, ასევე იმ ქართველი და უცხოელი ინვესტორებისთვის, რომლებსაც საქართველოში წარმოების განვითარება სურთ. პროდუქტის კონკურენტუნარიანობას დიდწილად განსაზღვრავს ლოგისტიკური ხარჯების წილი მის საბოლოო ღირებულებაში. თანამედროვე ინფრასტრუქტურის, იაფი, საიმედო და სწრაფი სერვისების არსებობა კი, მნიშვნელოვნად აადვილებს

¹⁶ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ჟურნალი „ანაკლია“ #5 დეკემბერი. 2017. გვ. 10 http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf გადამოწმებულია 26.04.2019.

მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა საქართველოს მთავრობამ პორტის მიმდებარედ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარება.

„წარმოდგენილი ორი საინვესტიციო პროექტი სწორი საინვესტიციო პოლიტიკის მაგალითია, რასაც ვერ ვიტყვით ავსტრიული ხორცპროდუქტების და დელიკატესების კომპანია „შირნჰოფერი“-ს შესახებ, რომელიც საქართველოში არამხოლოდ თავისი პროდუქციის გაყიდვას, არამედ საწარმოს დაარსებასაც აპირებდა. კომპანია „შირნჰოფერი“ საქართველოში 2005 წელს დაფუძნდა. მისი ძირითადი საქმიანობა საქართველოში ძეხვის პროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება იყო. კომპანიას ავსტრიული ფირმა „შირნჰოფერის“ პროდუქციის იმპორტისა და დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება ქონდა. 2006 წელს შირნჰოფერი გეგმავდა მცხეთაში ქარხნის აშენებას, რომელიც დაასაქმებდა 600-მდე ადამიანს. გარდა ამისა, კომპანია გეგმავდა ფერმერებისთვის გასაზრდელად მიეზარებინა სპეციალური ჯიშის ხბოები. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის საქართველოში არ არსებობდა ლაბორატორია, რომელიც ჩამორთმეული პროდუქციის ხარისხს შემოაწმებდა, ფინანსურმა პოლიციამ შირნჰოფერის პროდუქციის კონფისკაცია სწორედ დაბალი ხარისხის ბრალდებით მოახდინა. ასეთი ხელოვნური დაბრკოლებების გამო „შირნჰოფერმა“ იმ დროისათვის გადაიფიქრა საქართველოში ინვესტირება, ქარხანა ყაზახეთში ააშენა. 2017 წლიდან ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია „შირნჰოფერი“ ქართულ ბაზარზე უკვე ბრენდული მაღაზიებითაა წარმოდგენილი.“¹⁷

¹⁷ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ორსახოვნება. http://iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/e1-83-9e-e1-83-98-e1-83-a0-e1-83-93-e1-83-90-e1-83-9e-e1-83-98-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-a3-e1-83-aa-e1-83-ae-e1-83-9d-e1-83-a3-e1-83-a0-e1-83-98-e1-83-98-e1-83-9c-e1-83-95-e1-83-94-e1-83-a1-e1-83-a2?fbclid=IwAR35m5HveYtCtSF8yYfFdky9C2m8iTKSD418wbFCVSUPCuA_Tew_yLyA7Y
გადამოწმებულია 13.052019

თავი II

ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პრიორიტეტები

2.1. საინვესტიციო აქტივობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელთა ერთობლიობა საქართველოში

ეკონომიკურ ლიტერატურაში საკმაოდ ფართოდ აღწერილია ისეთი მიდგომა, რომლის დროსაც საინვესტიციო აქტივობაში გულისხმობენ იდეის დამუშავებასა და საინვესტიციო პროექტის დასაბუთებას, ამ დროს შექმნილი ობიექტის საქმიანობის მართვას. ამასთანავე, საინვესტიციო აქტივობად იწოდება ინვესტიციების ინტენსივობა, რომელიც განისაზღვრება ინვესტიციების მიმდინარე მოცულობის შეფარდებით ადრინდელ მოცულობასთან. ხოლო საინვესტიციო მიმზიდველობა მოიცავს საინვესტიციო პოტენციალსა და საინვესტიციო რისკს და ამ კატეგორიების ურთიერთქმედებით ხასიათდება. ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობა არის სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარიან მოთხოვნას ინვესტიციებზე.

„საინვესტიციო გარემო შვიდი კერძო პოტენციალისაგან შედგება:

- საწარმოო (მოსახელობის სამეურნეო საქმიანობის ერთობლივი შედეგი);
- სამომხმარებლო (მოსახელობის მთლიანი მსყიდველობითი უნარიანობა);
- რესურსულ-საანდლეულო (ძირითადი სახის ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა);
- ინფრასტრუქტურული (რეგიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და ინფრასტრუქტურული განვითარება);
- ინტელექტუალური (მოსახელობის განათლების დონე);
- ინოვაციური (სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის დონე);

- ინსტიტუციური (საბაზრო ეკონომიკის ძირითადი ინსტიტუტების განვითარების დონე).¹⁸

ქვეყნის, რეგონის, და დარგის საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას. (ინვესტიციის პროცესის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები და მათი ურთიერთკავშირი შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემდეგი სქემის სახით.) ქვეყნის საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის შესაფასებლად ხშირად იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის რეიტინგებს, რომელიც ქვეყნდება მსოფლიოში ცნობილ ჟურნალებში. მაგალითად, ყველაზე ხშირად გამოიყენებენ ჟურნალ „Euromoney“-ში წელიწადში ორჯერ გამოქვეყნებულ რეიტინგს, სადაც გამოიყენება მაჩვენებლების შემდეგი ჯგუფი: პოლიტიკური რისკის დონე, დავალიანების მდგომარეობა, ქვეყნის ვალის მომსახურების უნარი, კრედიტუნარიანობა, საბანკო კრედიტის ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობა, მოკლევადიანი სასესხო კაპიტალის ხელმისაწვდომობა, ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოქმნის ალბათობა. საინვესტიციო გარემო-პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული პირობების ერთობლიობაა, სადაც იგულისხმება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის ქვეყნის ეკონომიკაში კაპიტალის ჩადებისათვის მიზიდველი პირობების შექმნა. საინვესტიციო გარემო გამსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა კომპანიებმა განახორციელონ ინვესტიციები, გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები და შექმნან ახალი სამუშაო

¹⁸ ქუთათელაძე რ., ყურაშვილი გ., ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3. გვ. 76-79. 2015 წელი

ადგილები. მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო გარემოზე, განეკუთვნებიან: პოლიტიკური განუსაზღვრელობა, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, გადასახადები, სამართლებრივი რეგულირება, კორუფცია და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ნაკლებად კონკურენტუნარიანი კომპანიების დაფინანსება ძირითადად სარისკო კაპიტალით წარმოებს, რომელიც პირდაპირი ინვესტიციების გზით ხორციელდება, ფინანსური ინვესტორების მიერ. მაგრამ არსებობს მეორე შესაძლებლობაც, სტრატეგიული ინვესტირება, რაც გულისხმობს მონათესავე სფეროების ფინანსურად ძლიერი კომპანიების ალიანს, ერთობლივად ინვესტიციების ჩადებას და რისკების გაყოფას. „ფინანსური ინვესტორი დაინტერესებულია კომპანიის საქმიანობის ღირებულების (შესაბამისად აქციათა) ფასის ზრდით, დანახარჯების შემცირების და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით. ფინანსური ინვესტორები ინტერესდებიან ფირმის საქმიანობის გამჭირვალობით, სიმძნელების გამკლავების უნარით, მენეჯმენტის კვალიფიკაციის დონით და ბიზნეს სტრატეგიით. შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ლიბერალური დაბეგვრის სისტემა თავის მხრივ უფრო გაჭირვალეს ხდის ბიზნესს და აქცენტი უნდა გავაკეთოთ ქართული კომპანიების უცხოელ ინვესტორებთან ეფექტიანი ურთიერთქმედების დამყარებაზე, რადგანაც ქართული კომპანიების უმრავლესობა ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმებს.“¹⁹

ქვეყანაში სრულფასოვანი საინვეტიციო ბაზრის შექმნა, დაფინანსების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, საწყის სტადიაზე მყოფი კომპანიების (ფირმების) რისკი ვენჩურულმა ფონდებმა უნდა აიღონ თავის თავზე, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მსხვილი და წარმატებული ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას. საქართველოში ფინანსურ

¹⁹ „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში“. ა. ცერცვაძე. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. თბ. 2015. გვ. 44-46.

ინსტიტუტებს, ბანკებს, სადაზღვეო და საინვესტიციო კომპანიებს საქმანობის წარმართვისას საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევთ მუშაობა. შესაბამისად მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთები. აქედან გამომდინარე ახალი პროექტებისათვის თანხების გამონახვა, საქართველოში უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ქართული კომერციული ბანკების კრედიტები ხშირად მოკლევადიანია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალი. ასეთ პირობებში, მხოლოდ მოკლევადიან პროექტებში რისკავს ფულის დაბანდებას ადგილობრივი კერძო სექტორი. რაც უფრო ნაკლებად ხელსაყრელია საინვესტიციო კლიმატი, მით უფრო ძვირად აფასებს ინვესტორი თავის სამეწარმეო რისკს, ხოლო მიმღები (რეციპიენტი) ქვეყნისათვის ხარჯები ინვესტიციების მოსაზიდად უფრო დიდია.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- საინვესტიციო აქტივობის უზრუნველყოფი ინსტიტუციური გარემოს უზრუნველყოფას;
- სახელწიფო მასტიმულირებელ ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას;
- მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას.

საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისა და განვითარების დროს სამი ძირითადი ეტაპის გამოყოფაა შესაძლებელი, რომლებიც საინვესტიციო აქტივობისათვის შექმნილი ფონით, საინვესტიციო აქტივობის მიღწეული დონით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას განსაზღვრავენ. კომპანიებისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, განვითარების განვლილ ეტაპზე არსებულმა სისტემურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად დააქვეითა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორცაა ბაქო – თბილისი – ჯეიჰანი და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობა, ამ პერიოდის პოზიტიური მოვლენაა და მიუთითებს საინვესტიციო აქტივობის განვითარებაზე. რაც არსებით ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო აქტივობაზე. „საინვესტიციო

გარემოს დახასიათებისათვის, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებულია ისეთი მაჩვენებლების გამოყენება, როგორიცაა:

- მთლიან შიდა პროდუქტში დაგროვების წილი;
- ინვესტიციების მთლიანი მოცულობა;
- ინვესტიციების სტრუქტურა დაფინანსების წყაროების მიხედვით;
- ინვესტიციების სტრუქტურული მაჩვენებლები (დარგობრივი და ეკონომიკური);
- ინვესტიციების სფეროში ინფლაციის ინდექსის მრეწველობაში საბითუმო ფასების ინდექსთან შედარების კოეფიციენტი;
- ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლები;²⁰

მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) დაგროვების წილის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია მთლიანი დაგროვების სტრუქტურაში არსებული ცვლილებების, განვითარების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პერსპექტივების განსაზღვრა. ძირითადი კაპიტალის მთლიან ფორმირებაში სამეწარმეო სექტორის ინვესტიციებმა ძირითად საშუალებებში, მაგ. 2014 წელს შეადგინა 2597,4 მლნ. ლარი (ანუ 60.4 %). ბოლო წლებში შეიმჩნევა მთლიანი დაგროვების მაჩვენებლის ზრდა წინა წლებთან შედარებით, მაგრამ მცირდება მისი ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ყველაზე აქტიური (საინვესტიციო თვალსაზრისით) დარგი, სექტორი, და დავადგინოთ მისი განმაპირობებელი ფაქტორები. საქართველოს ეკონომიკის ისეთ დარგებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ დაბალია საინვესტიციო აქტივობა, რაზეც მიუთითებს საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები. ინვესტიციების უმეტესი ნაწილი ძირითად კაპიტალში აკუმულირებულია სახელმწიფო მმართველობისა და საერთო სარგებლობის აქტივების სფეროში, ასევე ტრანსპორტისა და

²⁰ „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში“. ა.ცერცვაძე. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. თბ. 2015. გვ. 44-46.

კავშირგაბმულობის სფეროში. კაპიტალის შემოდინებისათვის არახელსაყრელ ეკონომიკურ და ინსტიტუციურ პირობებზე მიუთითებს ის, რომ ძირითად კაპიტალში დაბანდებების დაბალი წილით გამოირჩევიან ისეთი სფეროები, როგორცაა ჯანდაცვის, განათლების და საფინანსო სამსახურების. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებაში და საინვესტიციო აქტივობის ამაღლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი გააჩნია ქვეყანაში არსებულ საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ გარემოს.

საინვესტიციო გარემოზე ნეგატიურად მოქმედ ფაქტორებს (მსოფლიო ბანკი კვლევებზე დაყრდნობით) განეკუთვნებიან:

- პოლიტიკური განუსაზღვრელობა – 28 %;
- მაკროეკონომიკური არასატაბილურობა – 23%;
- გადასახადები – 19%;
- სამართლებრივი რეგულირება – 10%;
- კორუფცია – 10%.

საერთაშორისო სტანდარტების საკანონმდებლო ბაზის გარეშე შეუძლებელია ქვეყანაში საინვესტიციო აქტივობის უზრუნველყოფისა და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება. საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაში ყველაზე მნიშვნელოვანი კანონებია:

- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 1996 წელს;
- „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 2002 წელს;
- „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ – მიღებული პარლამენტის მიერ 2006 წელს.
- „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მიხედვით, ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან

უფლება. რომელიც დაბანდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით, მიიჩნევა ინვესტიციად;

- საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

2.1. რეგიონალური საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში

„თანამედროვე პირობებში საზოგადოების წინაშე არსებული უმთავრესი ამოცანების გადაჭრა-ეკონომიკური ზრდის მიღწევა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, წარმოუდგენელია ეკონომიკის რეალური სექტორში ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკაში საინვესტიციო სფეროს ახალი სტრუქტურა ჩამოყალიბდა. მისი ფორმირების საწყის ეტაპზე სახელმწიფომ დაკარგა მონოპოლისტ-ინვესტორის ფუნქცია. თანდათან დაიწყო ჩამოყალიბება საინვესტიციო ბაზარმა და ინვესტირების ხელშემწყობი სუბიექტების ფორმირებამ. ეჭვგარეშეა, ეკონომიკის ინვესტიციური უზრუნველყოფის საკითხის მნიშვნელობა განპირობებულია ინვესტიციის უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქციით კვლავწარმოების პროცესში.“²¹ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბები არათანაბრადაა გადანაწილებული, რაც რეგიონებში საინვესტიციო რესურსების მკვეთრ დეფიციტს ქმნის. სწორედ ეს განსაზღვრავს სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკას, როგორც როგორც საინვესტიციო აქტივობისათვის წანამდგრების, შესაძლებლობებისა და პირობების სისტემის შექმნის ამსახველი საქმიანობას. საინვესტიციო პოლიტიკის მიზანი და

²¹ ნ.ჩიხლაძე, ნ.რუსაძე. საბიუჯეტო ინვესტიციების როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3, გვერდი 152-156. 2015 წელი

ქვეყანაში შექმნილი კონკრეტული ეკონომიკური ვითარების თავისებურებები განსაზღვრავენ მის შემდეგ მიზნებს:

- ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკის დარგების განვითარების შერჩევა და მხარდაჭერა; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა;
- მეურნეობის ყველა დარგის განვითარების დაბალანსების უზრუნველყოფა;
- საექსპორტო წარმოებათა განვითარების სტიმულირება; სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ქვეყანაში საბინაო მშენებლობის პროგრამის რეალიზება და სხვა.

„სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა აწესებს თამაშის წესებს ინვესტიციების სფეროში და ხელსაყრელ პირობებს უქმნის საინვესტიციო საქმიანობის განვითარებას, რისთვისაც:

- სრულყოფს გადასახადების სისტემას, ამორტიზაციის დარიცხვასა და საამორტიზაციო დარიცხვისა და საამორტიზაციო ანარიცხების გამოყენების მექანიზმს;
- გადასახადების სპეციალურ რეჟიმებს უწესებს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს;
- იცავს ინვესტორების ინტერესებს;
- მიწითა და სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობით შეღავათიან პირობებს უდგენს საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებს;
- იღებს ანტიმონოპოლიურ ზომებს;
- ხელს უწყობს ფინანსური ლიზინგის განვითარებას;
- ახდენს ძირითადი ფონდების გადაფასებას ინფლაციის ტემპების შესაბამისად;
- ქმნის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელსაყრელ პირობებს;
- ატარებს სამეცნიერო–ტექნიკურ და საკრედიტო–საფინანსო პოლიტიკას.“²²

²² „მუნიციპალური საინვესტიციო პოლიტიკა“. ლ.მიქავა. ჟურნალი-სოციალური ეკონომიკა. თბ. 2014. #3 გვ. 202-206

ინვესტიციების მეშვეობით ამჟამად გადასაჭრელია სამამულო წარმოების პროდუქციის უდიდესი ნაწილსი კონკურენტუუნარობის დაძლევის ურთულესი ამოცანა, თანაც, ეს ეხება არა მარტო ხარისხს, არამედ წარმოების ხარჯებსაც. ამ თვალსაზრისით ვაყალიბებთ იმ ფაქტორებს, რომლებიც ჩვენი აზრით შემაკავებელ როლს ასრულებენ საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის განვითარებაზე:

- „მოსახლეობის რეალური შემოსავლების და დანაზოგების დაბალი დონე, რაც უარყოფითად აისახება ერთობლივ მოთხოვნაზე;
- იმ მექანიზმების უქონლობა, რომლებიც გამოიწვევდნენ საინვესტიციო რესურსების გადინებას კაპიტალურად უზრუნველყოფილიდან კაპიტალურად დეფიციტურ სექტორებში. არ არსებობს ქმედებითი მექანიზმები, რომლითაც მოხდებოდა საინვესტიციო რესურსების ეფექტური გადადინება ეკონომიკის კაპიტალდეფიციტური სექტორისაკენ, რაც კაპიტალის გატანის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევა;
- სამწუხაროდ საქართველოს საბანკო სექტორი არ არის ორიენტირებული რეალურ სექტორზე. 2014 წელს კომერციული ბანკების მიერ ეროვნული

A1						ქ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარის რეგიონში			
A	B	C	D	E	F	G	H	I	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები აჭარის რეგიონში									
						(ათასი აშშ დოლარი)			
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ				
2009	31,606.5	29,135.1	16,746.6	21,898.2	99,386.4	წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური			
2010	26,402.7	6,909.6	15,086.5	10,536.6	58,935.5				
2011	17,556.6	30,239.7	26,976.6	21,076.8	95,849.6				
2012	20,075.2	6,933.9	15,625.0	13,653.4	56,287.5				
2013	7,218.7	7,605.3	49,578.3	18,735.2	83,137.5				
2014	12,714.2	36,657.2	61,640.6	58,228.7	169,240.7				
2015	52,923.0	16,269.7	21,923.9	115,423.1	206,539.8				
2016	51,724.1	8,634.8	17,919.8	21,322.7	99,601.3				
2017	31,701.8	14,749.5	120,993.2	26,352.9	193,797.3				
2018 *	-19,785.2	44,178.8	6,409.8	4,270.4	35,073.7				

*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შიდა ქართლის რეგიონში							
A	B	C	D	E	F	G	H
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შიდა ქართლის რეგიონში							
						(ათასი აშშ დოლარი)	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ		
2009	-1,659.5	59.1	1,861.9	451.2	712.7		
2010	22,550.8	-508.1	813.9	-13,257.1	9,599.4		
2011	9,693.9	666.1	-1,406.8	5,301.4	14,254.6		
2012	16,679.5	103.7	-2,091.2	-2,271.6	12,420.4		
2013	5,663.3	-3,288.0	-1,168.0	-1,448.7	-241.4		
2014	9,388.5	7,207.1	4,442.5	-6,690.2	14,347.8		
2015	-10,414.2	3,054.3	5,844.3	-13,517.1	-15,032.7		
2016	-2,921.5	2,654.6	2,027.7	2,780.5	4,541.4		
2017	1,607.7	1,445.1	1,180.7	-4,923.3	-689.8		
2018 *	-2,982.1	4,786.0	10,355.9	2,399.1	14,558.9		
*წინასწარი მონაცემები.							

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

ეკონომიკაზე გაცემული სესხების მიხედვით ყველაზე მსხვილი სექტორებია: ვაჭრობა (49%), მრეწველობა (20%) და მშენებლობა (10%).

- ძალზე მნიშვნელოვანია მომხმარებლებისა და ინვესტორების ნდობი გამყარება და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მაქსიმალურად გამოყენება, რაც შექმნის პირობებს ექსპორტის დივერსიფიკაციისათვის და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში.²³

ინვესტორები თავიანთი კაპიტალის დაბანდებას ამჯობინებენ, უმთავრესად, განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის მქონე მსხვილ ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალია მოსახლეობის გადახდის უნარიანობა, აგრეთვე ნედლეულის რეგიონებში. რეგიონული პოლიტიკის გატარების საქმეში რეგიონების დამოუკიდებლობის გადიდება ბიძგს აძლევს მათ შორის კონკურენციის გამწვავება საინვესტიციო კაპიტალის მიზიდვაში, მისი გამოყენების უფრო ხელსაყრელი პირობების შეთავაზების გზით. ამას მოაქვს, როგორც დადებითი ისე უარყოფითი

²³ნ.ჩიხლაძე, ნ.რუსაძე. საბიუჯეტო ინვესტიციების როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3, გვერდი 152-156. 2015 წელი

შედეგები. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურზე დაყრდნობით 2016 წელს თბილისის ეკონომიკამ 16,6 მილიარდი ლარი, საქართველოს ეკონომიკის 49% შეადგინა. თბილისის შემდეგ ყველაზე დიდი ეკონომიკა იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის არის-10%. მესამე ადგილზე კი აჭარაა 9%-ით. ყველაზე მცირე ეკონომიკა გურიას აქვს 747 მლნ ლარი (2%). 2016 წელს ნომინალურ გამოსახულებაში (მიმდინარე ფასებში), ყველაზე მეტად აჭარის ეკონომიკა გაიზარდა 13,9%-ით. შემდეგ მოდის შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი 13,8%-ით. თბილისის ეკონომიკა 6,3%-ით გაიზარდა. მხოლოდ გურიის ეკონომიკა შემცირდა 0,6%-ით. ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს 2016 წლის რეგიონული მშპ.“²⁴

რეგიონი	მლნ ლარი	წილი ეკონომიკაში
თბილისი	16,591	49%
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3,567	10%
აჭარა	2,899	9%
ქვემო ქართლი	2,725	8%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2,396	7%
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	2,103	6%
კახეთი	1,973	6%
სამცხე-ჯავახეთი	1,025	3%
გურია	747	2%
მთლიანი შიდა პროდუქტი	34,028	100%

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წელს 1861.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16.2 პროცენტით აღემატება 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს. უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ტრადიციულად თბილისზე მოდის, საქართველოს რეგიონებზე კი მხოლოდ მცირე მოცულობა ნაწილდება. 2017 წლის მონაცემებით, თბილისში 1.4 მლრდ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 1.3 მლრდ დოლარი იყო.

²⁴ საქართველოს ეკონომიკის ნახევარი თბილისზე მოდის. 25.12.2017.

<http://forbes.ge/news/3221/saqarTvelos-ekonomikis-naxevari-Tbilisze-modis> გადამოწმებულია 21.06.2018

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმერეთის რეგიონში						G	H
A	B	C	D	E	F		
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იმერეთის რეგიონში							
						(ათასი აშშ დოლარი)	
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ		
2009	1,024.2	22,920.8	19,562.7	17,550.2	61,058.0		
2010	7,391.7	41,029.5	19,556.1	12,149.2	80,126.5		
2011	-631.2	-2,225.8	8,597.5	-415.3	5,325.2		
2012	10,002.4	9,510.6	11,266.7	9,244.4	40,024.0		
2013	13,596.7	23,360.4	8,350.9	13,816.3	59,124.4		
2014	10,916.9	14,351.9	3,817.1	-1,134.9	27,951.1		
2015	3,849.8	4,590.7	-18,647.1	35,908.5	25,701.8		
2016	-1,378.9	5,075.8	13,103.7	11,190.5	27,991.0		
2017	-7,416.1	10,739.7	17,326.7	37,421.8	58,072.0		
2018 *	16,725.6	-2,190.0	20,645.5	11,947.1	47,128.3		
წინასწარი მონაცემები.							

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

თბილისს მოსდევს აჭარა სადაც 185 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. 2016 წელს კი აჭარაში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები 95 დოლარს შეადგენდა. 66 მლნ დოლარის უცხოური ინვესტიცია ჩაიდო ქვემო ქართლში, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 37 მლნ დოლარით გაზრდილი მაჩვენებელია. 52 მლნ დოლარი შეადგინა ინვესტიციებმა სამცხე-ჯავახეთში. სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში კი 55 მლნ დოლარი. ჯამში 35 მლნ დოლარი შეადგინა FDI-იმ იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ყველაზე მცირე მოცულობა კი კახეთსა და შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა - \$4.8 მლნ და \$4.3 მლნ. წლიურად FDI ქვემო ქართლში 37 მლნ დოლარით გაიზარდა.²⁵

საერთაშორისო ექსპერტების დასკვნების თანახმად საქართველოს მასშტაბის ქვეყანაში 1 მილიარდი დოლარის ოდენობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის განხორციელება დაახლოებით 7%-იან ეკონომიკურ ზრდას უნდა იწვევს. ინვესტიციების რეგიონალური განაწილების გადახედვა ქვეყნის რეგიონალური

²⁵ ფარჯიანი შ. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (სტატისტიკური მიმოხილვა). ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. თსუ. #3. გვ. 151-162. 2015 წელი;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში								
A	B	C	D	E	F	G	H	I
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვემო ქართლის რეგიონში								
	(ათასი აშშ დოლარი)							
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ			
2009	15,529.0	11,814.1	9,919.6	12,502.3	49,765.0			
2010	14,220.7	36,320.9	6,195.5	9,948.1	66,685.4			
2011	32,740.7	-12,039.1	57,032.3	69,148.7	146,882.6			
2012	29,143.1	-4,497.5	7,853.6	9,149.1	41,648.3			
2013	10,018.8	5,149.6	3,498.5	-2,357.7	16,309.2			
2014	8,541.1	20,647.1	14,863.4	11,599.2	55,650.8			
2015	9,261.1	50.7	7,986.9	3,861.0	21,159.8			
2016	-7,651.6	20,659.1	42,472.2	-26,489.0	28,990.7			
2017	18,650.6	21,990.2	20,316.9	3,401.3	64,359.0			
2018 *	29,318.6	27,503.9	13,131.3	15,133.2	85,087.1			
*წინასწარი მონაცემები.								

წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

განვითარების პერსპექტივასაც უფრო უკეთ აღსაქმელს ხდის. არსებული სტატისტიკა მოწმობს, რომ ქვეყანამ აუცილებელია მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწიოს არა მარტო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, არამედ როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე აქტიური მუშაობა ჩაატაროს ამ ინვესტიციების რეგიონალური დივერსიფიცირებისათვის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგიონული სტატისტიკის გვერდზე გვაწვდის ინფორმაციას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით წარმოებს „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის“ სტატისტიკური გამოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შერჩეული საწარმოების ფაქტიური მისამართების მიხედვით, რაც შეეხება საფინანსო სექტორს, მონაცემები მიკუთვნებულია მთლიანად თბილისზე.

2.3. Ferrero-ს წვლილი საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რამდენად მიმზიდველია ქვეყანა საინვესტიციოდ, რომელ დარგებშია მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობები. ამდენად, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარების ძალზე მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ბოლო 3 წლის განმავლობაში გაუტეხავი თხილის წარმოება მსოფლიო მასშტაბით, 914 447 ტონამდე გაიზარდა. ათ ყველაზე მსხვილ მწარმოებელთა რიგებში შედიან: თურქეთი, რომლის წილი შეადგენს მსოფლიო წარმოების თითქმის 75% (660 000 ტონა), იტალია (85 000 ტონა), აშშ და აზერბაიჯანი (30 000 ტონა), საქართველო (25 000 ტონა), ჩინეთი (23 000 ტონა), ირანი (21 500 ტონა), ესპანეთი (14 000 ტონა), საფრანგეთი (8 500 ტონა) და პოლონეთი (4 200 ტონა) (FAO, 2014). ევროკავშირში თხილის წარმოება მეტად არასტაბილურია და საშუალოდ 125 000 ტონას შეადგენს. ეს მოცულობა საკმარისი არ

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში										
A1	B	C	D	E	F	G	H	I	J	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში										
						(ათასი აშშ დოლარი)				
	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	სულ					
2009	19,899.9	29,824.2	10,072.7	40,560.3	100,357.2					
2010	14,906.1	-12,173.7	-11,352.3	33,959.6	25,339.7					
2011	15,365.2	13,534.3	22,358.3	18,890.5	70,148.3					
2012	1,847.3	37,922.2	2,281.3	19,871.6	61,922.4					
2013	14,911.8	24,342.2	-3,242.0	21,217.7	57,229.8					
2014	27,236.0	17,716.1	22,463.2	26,233.0	93,648.2					
2015	22,538.1	29,035.9	52,482.0	-52,846.6	51,209.5					
2016	61,848.2	-6,963.1	14,387.2	-34,779.8	34,492.4					
2017	4,785.4	-9,612.6	32,020.8	22,231.2	49,424.8					
2018 *	18,377.6	-4,196.3	50,952.0	-22,289.1	42,844.2					
ქინასწარი მონაცემები.										


წყარო:
საქართველოს
სტატისტიკის
ეროვნული
სამსახური

არის ევროკავშირის მოსახლეობის მოხმარების ან გადამუშავებისთვის დასაკმაყოფილებლად, ამდენად, ევროკავშირში დამატებით 150 000 ტონა თხილის იმპორტირება ხორციელდება ყოველწლიურად.

შოკოლადისა და თხილის ერთობლიობას მსოფლიოს ერთი ასოციაცია განაპირობებს – Ferrero. Nutella, Ferrero Rocher, Raffaello და Kinder-ის მთელი ხაზი სწორედ Ferrero-ს პროდუქტებია, რომლებიც მსოფლიოს 170-ზე მეტ ქვეყანაში სწრაფად იყიდება. მათ შორის, საქართველოშიც, სადაც გლობალურ კომპანიას თავისი წარმოება აქვს. საქართველოში ამ მისიით Agri Georgia საქმიანობს. ყოველ წელს "ფერერო" 75 ქვეყანაში 180 000 ტონა "ნუთელას" ყიდის., ამისათვის Ferrero-ს ყოველწლიურად 25 000 ტონაზე მეტი თხილი სჭირდება. საქართველოში ბიზნესი "ფერერომ" შვილობილი კომპანიის - აგრიჯორჯიას - დაარსებით დაიწყო, რომელშიც წილის 100%-ს თავად ფლობს. ამჟამად კომპანიის საკუთრებაში 3 000 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. Ferrero-ს საქმიანობა საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგს გამოცდილებას სძენს და საექსპორტო ბაზრებზე პერსპექტივას უხსნის.

„Ferrero-ს ისტორია საქართველოში, მართლაც, ეფექტიანი უცხოური ინვესტიციის საუკეთესო მაგალითია – ამ ინვესტიციის წყალობით, ქართულ მიწაზე არა მხოლოდ მეტი თხილი მოდის, ის ტყის მასივითაც დაიფარა. ალბათ არც ერთ სხვა ქვეყანაში Ferrero-ს იმხელა გარდატეხა არ შეუტანია, როგორც საქართველოში. ტრადიციულად, ღვინის სამშობლოდ წოდებულ ქვეყანაში კომპანიამ მალევე დაამტკიცა, რომ საქართველო შეიძლება თხილის ქვეყანაც იყოს. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თხილი, სტაბილურად, საექსპორტო პროდუქციის სამეულშია. ქართული თხილის საექსპორტო წარმატება საქართველოს ბაზარზე Ferrero-ს გამოჩენით იწყება. დღეს, თითქმის 10 წლის შემდეგ, Agri Georgia ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთამაშეა თხილის ადგილობრივ ბაზარზე. ის აწარმოებს როგორც იტალიურ ჯიშებს, ისე სხვა ევროპულ სახეობებს და, რა თქმა უნდა, დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის ქართულ ჯიშებსაც. Agri Georgia ფლობს ხუთ ფერმას,

თბილის ექსპორტის დინამიკა მოცულობისა და ფასების მიხედვით



ორ სანერგეს და სატეხ-საშრობ საწარმოს. კომპანია 3500 ჰა მიწას ამუშავებს და წელიწადში 1 მილიონ ნერგს აწარმოებს.²⁶ თბილის პირველი მოსავალი 2013 წელს მიიღეს. საინვესტიციო გეგმა თბილის გადამამუშავებელი ორი ქარხნის მშენებლობასაც ითვალისწინებდა. შედეგად, Ferrero -ს მიერ საქართველოში დაბანდებული ინვესტიციების მოცულობამ 20 მილიონ ევროს გადააჭარბა.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქართველებს თბილი მიაჩნიათ ერთ-ერთ უმთავრეს სასოფლოსამეურნეო მრავალწლიან კულტურად, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თანახმად (USAID, 2011), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტის 24% თბილზე მოდის.

²⁶ ე.კვანჭილაშვილი. გემრიელი ინვესტიციები: ქართული თბილის საექსპორტო წარმოება საქართველოს ბაზარზე FERRERO-ს გამოჩენით იწყება. ჟურნალი Forbes Property. ივლისი. გვ. 80-83. 2017 წელი.

საქართველო მსოფლიოში თხილის უმსხვილეს მწარმოებელთა შორის მეხუთე ადგილზე; ის მსოფლიოში გაუტეხავი თხილის ექსპორტის მიხედვით მეხუთე უმსხვილესი ექსპორტიორია და მეოთხე ადგილზეა თხილის გულის ექსპორტის მიხედვით. FAOSTAT-ის მონაცემების თანახმად, გაუტეხავი თხილის წარმოება ორჯერ გაიზარდა 2000 წლის შემდეგ. ანალოგიური ვითარება შეინიშნება თხილის გულის შემთხვევაშიც, რაც გადამუშავების უფრო დიდ მასშტაბზე მიუთითებს, კვლევის დაწყების წლებთან შედარებით. რაც შეეხება სხვა პროდუქტებს, როგორცაა ბლანშირებული, მოხალული ან დაქუცმაცებული თხილი, მათი წარმოება მინიმალურია.

„ეკონომიკური განვითარების ინიციატივის პროგრამა, რომელსაც კომპანია Ferrero USAID-თან თანამშრომლობით სამი წლის განმავლობაში, 2012-2014 წლებში ახორციელებდა. ამ პერიოდში 3000-ზე მეტმა ფერმერმა გაიარა ინტენსიური ტრენინგები, სადაც ისინი თანამედროვე გამოცდილებასა და მიდგომებს საერთაშორისო ექსპერტებთან და პრაქტიკოსებთან ერთად ნერგავდნენ თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში. პროგრამა დასრულდა, თუმცა იმისთვის, რომ ფერმერებს მიღებული ცოდნა არ დაეკარგათ და ეფექტიანობასა და პროდუქტიულობაზე ზრუნვა გაგრძელებულიყო, ხოლო ტრენინგებით მიღებული შედეგები განმტკიცებულიყო, 2013 წელს, ადგილობრივ ფერმერებთან ერთად, Agri Georgia-მ დააარსა თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელსაც აქტიურად ეხმარება იმისთვის, რომ აგრონომებს რეგულარული ტრენინგები უტარდებოდეთ, ახალი ტექნოლოგიების შესახებ უახლეს ინფორმაციას იღებდნენ და ამით მუდმივად აუმჯობესებდნენ საკუთარ ბალებს. Agri Georgia-ს ტრენინგ-კურსები ფარავს ყველა საჭირო მიმართულებას: დარგვას, მოსავლის აღებას, მოვლას, ლაბორატორიულ ტექნოლოგიებს, ლოგისტიკასა და მარკეტინგს.“²⁷

²⁷ ე.კვანჭილაშვილი. გემრიელი ინვესტიციები: ქართული თხილის საექსპორტო წარმოება საქართველოს ბაზარზე FERRERO-ს გამოჩენით იწყება. ჟურნალი Forbes Property. ივლისი. გვ. 80-83. 2017 წელი.


Ferrero-ს საქმიანობა საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგს გამოცდილებას სძენს და საექსპორტო ბაზარზე პერსპექტივას უხსნის. Ferrero-ს ისტორია საქართველოში, ეფექტიანი უცხოური ინვესტიციის საუკეთესო მაგალითია. მართალია, ამ პროგრამის წარმატებით განცხორციელების შემდეგ ბაზრის მოთხოვნა თხილის გამრობასა და შენახვაზე დაკმაყოფილებული იქნება, თუმცა რჩება მთავარი კრიტიკული მიმართულება- თხილის წარმოება, რაც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს თხილის მაღალ ხარისხსა და პროდუქტიულობას Ferrero-ს ამ მიმართულებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებებიც დეტალურად აქვს შესწავლილი. მათ შორისაა: თანამედროვე წარმოების ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის- განსაკუთრებით კი სასუქისა და პესტიციდების კუთხით- გააზრების და დანერგვის დაბალი დონე; ტექნიკის გამოყენებით შეზღუდვა ბაღების არასწორი მოწყობის გამო: ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა ახალი საწარმოო და მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვისათვის. ამ გამოწვევას Ferrero ორი კონკრეტული პროგრამით პასუხობს: ქართული თხილის გაუმჯობესების პროექტი (GHIP) და თხილის ბაღების პროექტი. პირველი პროექტში ჩართულები არიან როგორც დონორები - კერძოდ, გლობალური განვითარების ალიანსი და USAID-ი, ასევე- ადგილობრივი ასოციაციებიც-კერძოდ, საქარტველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია და თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტთა ასოციაცია. მეორე პროგრამაში კი Ferrero კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობს: პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკები გასცემენ გრძელვადიან, დაბალპროცენტთან კრედიტს, ექვს წლამდე საშელავათო პერიოდით. შესაბამისად, თხილის ბაღების პროექტში Agri Georgia-ს ორკომპონენტური პროგრამა- Turkey solution- ი ინვესტორებს უზრუნველყოფს როგორც ტექნიკური დახმარებით. ისე მორგებული ფინანსური პაკეტით, რომელიც მათ მისცემს საშუალებას, ახალი პლანტაციები გააშენონ და უკუგება პირველი მოსავლის აღებიდან უკვე მეხუთე წელს მიიღონ. ასეა- კომპანია Ferrero-ს გამოცდილება საქართველოს თხილის ბაზარს შესაძლებლობას უქმნის, თავისი პოტენციური ბოლომდე აითვისოს. ზუსტად ისე,

როგორც ეს თავად ამ კომპანიამ შეეძლო. 1946 წელს, როცა მიკელე ფერერო იტალიის პატარა ქალაქ ალბაში ბიზნესს იწყებდა, ალბათ რთულად წარმოიდგენდა, რომ წლების შემდეგ მისი კონსოლიდირებული ბრუნვა 10 მილიარდ ევროს გადააჭარბებდა და კომპანია შოკოლადის საკონდიტრო ნაწარმის გლობალურ ბაზარზე ყველაზე გავლენიანი კომპანიების მესამე ჯგუფში აღმოჩნდებოდა.

„თხილის ბიზნესის განვითარებისთვის ყველაზე კრიტიკულ მიმართულებებში Ferrero მიზნობრივ პროექტებს ახორციელებს. ასეთია, მაგალითად, თხილის დატეხის, გაშრობისა და შენახვის საგრანტო პროგრამა, რომელიც Agri Georgia-მ 2016 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანია, მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნას საშრობი ცენტრების ქსელი – 40 საშრობი ცენტრი სხვადასხვა რეგიონში. თუ თხილი მოსავლის აღებისთანავე არ დაიმტვრევა და გასაშრობად არ მომზადდება, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის ხარისხზე. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილობრივი ჯიშის თხილს, რომელიც ხიდან მწვანე ნაჭუჭიანად ცვივა. არსებულ საშრობ და სასაწყობო სათავსოებში შესაძლებელია წლიური წარმოების მხოლოდ 9.5%-ის გაშრობა და 2.5%-ის შენახვა. შენახვა თხილის ბიზნესის აუცილებელი კომპონენტია, რადგან თხილის 50%-ის გაყიდვა მოსავლის აღებიდან მხოლოდ სამ თვეშია შესაძლებელი. თუ თხილი დაბალი ხარისხის სასაწყობო სათავსოებში ინახება (როგორც ეს დღეს ხდება), თხილის გულის ხარისხი და წონა 10-20%-ით ვარდება; დიდია მოსავლის აღების შემდგომი დანაკარგიც – საშუალოდ, 35%-მდე. სწორედ ამ პრობლემების გადაჭრა უნდა Ferrero-ს თავისი მიზანმიმართული საგრანტო პროგრამით. პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, ხუთი წლის განმავლობაში გაგრძელდება, წელიწადში ორი გამართული სათავსოს მიღებაზეა ორიენტირებული. Agri Georgia-ს გრანტების მოცულობა დაახლოებით \$55 ათასია. სათავსოები, რომელთა მოსაწყობადაც გაიცემა გრანტი, ათ სხვადასხვა სოფელში უნდა იყოს და გასაშრობად, მინიმუმ, 1000 მტ, ხოლო დასასაწყობებლად მინიმუმ 500 მტ თხილს

უნდა იტევდეს. სათავსოების მფლობელების, მენეჯერებისა და პერსონალისთვის გათვალისწინებულია ტრენინგები.“²⁸

დღეს Ferrero-ს ჯგუფი 41 ათას თანამშრომელს აერთიანებს 53 ქვეყანაში: გლობალურად 23 საწარმოს მართავს და უკვე მესამე წელია, ფლობს Ferrero-ს თხილის კომპანიას, რომელიც, თავის მხრივ, ექვს სასოფლო-სამეურნეო კომპანიას და რვა საწარმოს აერთიანებს. ისინი საქართველოში 3500 ჰექტარის ფართობის თხილის პლანტაციით არიან წარმოდგენილი. საერთო ჯამში მათი პროდუქცია 170 ქვეყანაში გადის ექსპორტზე, თუმცა ჯგუფის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი მაინც ის არის, რომ Ferrero განვითარებას არ წყვეტს. ბოლო ათი წლის განმავლობაში მათი ბრუნვა თითქმის გაორმოცდა და 2017 წელს 10,3 მილიარდი ევრო შეადგინა.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

²⁸ ე.კვანჭილაშვილი. გემრიელი ინვესტიციები: ქართული თხილის საექსპორტო წარმოება საქართველოს ბაზარზე FERRERO-ს გამოჩენით იწყება. ჟურნალი Forbes Property. ივლისი. გვ. 80-83. 2017 წელი.

საქართველოში თხილი 50 000 – 60 000 ჰექტარ მიწაზე კულტივირებული და მთლიანი მოსავლის ნახევარზე მეტი წარმოებაშია მიცემული, თითოეული ჰექტარიდან მიღებული მოსავალი საშუალოდ 1-დან 1,5 ტონამდე მერყეობს. კომპანიის შეფასებით 1 ჰექტარი მიწიდან მიღებული თხილის წარმოება საქართველოში ბაზრის წილის 4%-ს შეადგენს.

2016-17 წლებში საქართველოში 29.5 და 21.4 ათასი ტონა თხილი აწარმოეს, 2017 წლის რაოდენობა ათი წლის წინანდელ ნიშნულს დაუბრუნდა. თხილის კულტურის ყველაზე დიდი მოსავალი 2013 წელს იყო. ფერმერებმა ამ წელს 39,7 ათასი ტონა თხილის მოსავალი მიიღეს.

თავი III

ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა და მომგებიანობის შეფასების მექანიზმები

3.1. საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები

„საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასებას წინ უსწრებს საინვესტიციო ხასიათის არაერთი მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოუდგენელია მომავალი ფულადი შემოსვლების მოცულობების შეფასებისა და შედარების გარეშე სხვადასხვა კრიტერიუმებით. მთავარი მიზნისათვის ინვესტიციების აუცილებელი მოცულობა უნდა შედარდეს პროგნოზირებულ შემოსავლებს. ეს მაჩვენებელი სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე განსხვავებული იქნება, როგორც შეიძლება იყოს ინფლაციის ტემპი, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდე, პროგნოზირების სიღრმე, ანალიტიკოსის კვალიფიკაციის დონე და ა.შ. ამ მეთოდში უმნიშვნელოვანესია პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის პროგნოზირება, ანუ პროდუქციის გასაღების ბაზრის შესაძლო ტევადობის ანალიზი.“²⁹

საინვესტიციო საქმიანობის ანალიზის დროს გამოყენებული კრიტერიუმებია:

- სუფთა დაყვანილი ეფექტიანობა (Net Present Value, NPV);
- ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი (Profitability Index, PI);
- მოგების შიდა ნორმა (Internal Rate of Return, IRR);
- ინვესტიციების ამოგების დისკონტირებული ვადა (Discounted Payback Period, DPP).
- ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი (Accounting Rate of Return, ARR).

²⁹ დევაძე ს. საინვესტიციო პოლიტიკა და პროექტებზე მოქმედი რისკ-ფაქტორები. ჟურნალი-ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. #3. გვ. 114-118. 2016 წელი

სუფთა დაყვანილი ეფექტიანობა (Net Present Value, NPV)-ამ მეთოდის გამოყენების მთავარი მიზანია კომპანიის ღირებულების გაზრდა, რიცხოვნობად ესაა ფირმის საბაზრო ღირებულება. მეთოდის ფორმულირება ხდება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{საწყისი ინვესტიციის სიდიდე IC}}{\text{სუფთა დისკონტირებული ფულადი შემოსავლების საერთო ჯამი}}$$

NPV –ს გამოთვლის დროს, როგორც წესი, გამოიყენება დისკონტირების მუდმივი განაკვეთი. საინვესტიციო პროექტები განსხვავდებიან პერიოდულობის მიხედვით, ამიტომ აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა სახის შემოსავალი. სუფთა დაყვანილი ეფექტიანობა (Net Present Value, NPV) საპროგნოზო მაჩვენებელია, მაგრამ იგი ადიტიურია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა პროექტის NPV შეიძლება შეიკრიბოს. ამ მაჩვენებლის სწორედ ეს უპირატესობა იძლევა საშუალებას იგი გამოყენებული იყოს ძირითად მაჩვენებლად საინვესტიციო პორტფელის ოპტიმალურობის ანალიზის დროს.

ინვესტიციების რენტაბელობის ინდექსი (Profitability Index, PI)-მიიღება ჩვენს მიერ უკვე განხილული მეთოდით და გამოითვლება ფორმულით:

$$PI = \sum_k \left(\frac{P}{(1+r)^k} : IC \right)$$

ფორმულის თანახმად: თუ $PI > 1$ საინვესტიციო პროექტი მისაღებია;

თუ $PI < 1$ საინვესტიციო პროექტი მისაღები არაა;

თუ $PI = 1$ საინვესტიციო პროექტი არ არის არც მომგებიანი და

არც წამგებიანი;

თუ სუფთა დაყვანილი ეფექტიანობა (Net Present Value, NPV) საპროგნოზო მაჩვენებელი იყო რენტაბელობის ინდექსი მისგან განსხვავებით ფარდობითი მაჩვენებელია და ახასიათებს შემოსავლების დონეს ხარჯების ერთეულზე, ე.ი. დაბანდების

ეფექტიანობას – რაც მეტია ამ მაჩვენებლის სიდიდე, მით უფრო მაღალია ამ პროექტში ინვესტირებული ყოველი ლარის უკუგება.

მოგების შიდა ნორმა (Internal Rate of Return, IRR)-ეკონომიკურ ლიტერატურაში შეხვედებით ამ მაჩვენებლის გასხვავებულ სახელწოდებებს, მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას უწოდებს შიდა შემოსავლიანობას, განსხვავებული ჯგუფი კი შიდა უკუგებას, ეს არის დისკონტირების კოეფიციენტი r . $IRR=r$, რომლისთვისაც პროექტის NPV უტოლდება ნულს. საინვესტიციო პროექტი მიიღება მაშინ, თუ მისი IRR აღემატება რაღაც ზღვრულ მნიშვნელობას. როგორც წესი უპირატესობით სარგებლობს პროექტი, რომლის IRR მაღალია. კომერციულ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს საინვესტიციო ხასიათის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლის რენტაბელობის დონე „კაპიტალის ფასი“ მიმდინარე მნიშვნელობაზე დაბალი არ არის.

ინვესტიციების ამოგების დისკონტირებული ვადა (Discounted Payback Period, DPP) – იგი წარმოადგენს ყველაზე მარტივ და ხშირად გამოყენებად მეთოდს და არ გულისხმობს ფულადი შემოსავლების დროის ფაქტორს. ამოგების ვადის (PP) გაანგარიშების ალგორითმი დამოკიდებულია ინვესტიციიდან შემოსავლელი პროგნოზირებული შემოსავლების განაწილებაზე. თუ შემოსავალი წლების მიხედვით თანაბრად არის განაწილებული, ამოგების ვადის გაანგარიშებისას საინვესტიციო ხარჯები იყოფა ამ ხარჯებით განპირობებულ წლიურ შემოსავალზე. შედეგს ამრგვალებენ მეტობით. თუ შემოსავალი განაწილებულია არათანაბრად, ამოგების ვადა განისაზღვრება წლების პირდაპირი დათვლით. PP გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$PP = n \text{ სადაც } \sum_{k=1}^n P \geq IC$$

ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი (Accounting Rate of Return, ARR) – არც ამ მეთოდის გაანგარიშებია ალგორითმია რთული, რამაც განაპირობა ამ მაჩვენებლის ფართო პრაქტიკული გამოყენება. ინვესტიციების ეფექტიანობის კოეფიციენტი, რომელსაც ასევე ეწოდება მოგების სააღრიცხვო ნორმა (ARR), გამოითვლება

საშუალოწლიური მოგება PN
ინვესტიციების საშუალო სიდიდეზე

„საინვესტიციო იდეის ეფექტურობის დასადგენად თითოეული ინვესტორი საკუთარი ფინანსების ინვესტირებამდე ატარებს საინვესტიციო პროექტების ანალიზს, შემდეგი მიზნით:

- განსაზღვროს განსახილველი პროექტის რეალიზების რეალურობა. რაც გულისხმობს სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ნორმების შედარებას;
- განსაზღვროს ფინანსური რისკებისგან პროექტის დაცულობის ხარისხი;
- შეაფასოს საინვესტიციო პროექტის მიმზიდველობა, მოახდინოს ყველა დადებითი ეფექტის შეფასება, რომელსაც ინვესტორი მიიღებს ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში დაწყებული მოგებით და დამთავრებული ეკონომიკური და სოციალური ეფექტით.“³⁰

პროექტის მომგებიანობის შეფასებას ახდენენ შემდეგი ინდიკატორებით:

- მიმდინარე პროექტის ღირებულება;
- პროექტის შიდა რენტაბელობა;

სწორედ ამ მაჩვენებლებზე დაყრდნობით ხორციელდება საინვესტიციო პროექტის ანალიზი. ინვესტირების პროცესი წარმოუდგენელის რისკის ფაქტორის გარეშე, ეს მოიცავს პერიოდს საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ციკლიდან, ბიზნეს-იდეის ჩამოყალიბებიდან საექსპლუატაციო ფაზის დამთავრებამდე, რომლებიც აქვეითებენ მისი განხორციელების ეფექტურობას და პროექტის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას წარმოშობენ. საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის პროცესში გარიგებაში მონაწილეობს განსხვავებული ინტერესების მქონე ორი სუბიექტი, ამიტომ ცნება „საინვესტიციო პროექტის რეალიზაციის რისკი“ მათთვის სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. ამას საინვესტიციო პროექტში მონაწილე მხარეების

³⁰ გვაჯაია ლ., გოგოლაძე თ. საინვესტიციო რისკების მართვა. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #1-2. გვ. 67-70. 2016 წელი.

განსხვავებული მიზნები განაპირობებს, მაგალითად, „საწარმოში შეიძლება დაიდგას ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზი და ეს მიზანი მიღწეულია. მაგრამ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებამ არ დაიწიოს იმ დონემდე, რომელიც უზრუნველყოფს მოსალოდნელ სარგებელს. შესაძლებელია იყოს ვარიანტი, როდესაც ინვესტორი უკან ვერ იბრუნებს ჩადებულ სახსრებს, ვერ იღებს კუთვნილ მოგებას ან მოგების ნაწილს. აქ მთავარია ის ფაქტი, რომ ინვესტორი შეცდა თავის მოლოდინში.“³¹ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოსალოდნელია თუ არა ეს შესაძლებლობა გადაიქცეს რეალურად ახდენად ცდომილებად. მაშასადამე, საჭიროა შეფასდეს რისკის ხარისხი და განისაზღვროს მისი სიდიდე. „რისკი ზემოქმედებს საბაზრო ეკონომიკის თითქმის ნებისმიერ სფეროზე და ასევე, მას ახასიათებს საკუთარი სპეციფიკური კანონზომიერება. ხშირად ინვესტორებს გააჩნიათ ყველა საჭირო საშუალება რისკის შესამცირებლად, თუ სწორი ანალიზის პროცესი განხორციელდება. სწორედ რისკისადმი გააზრებული მიდგომა ახდენს გავლენას ბიზნესზე და შეიძლება ამ რისკის ნაწილობრივი ან სრული აღმოფხვრა. ყველა საინვესტიციო სიტუაცია დაკავშირებულია რისკთან, შეიძლება რისკი იყოს როგორც ზარალიანი, ასევე შემოსავლიანი. აღსანიშნავია რისკის მრავალსახეობა, რომელიც მოიცავს ფინანსური კომბინაციების არაორდინალურობას, მოქნილობას და განუმეოებლობას ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში. მთავარი რისკის მართვის სწორი მიზნის დასახვაა, რომელიც პასუხობს მართვის ობიექტის ეკონომიკურ ინტერესებს. კომერციული რისკი წარმოადგენს დანაკარგების სიფრთხილეს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის პროცესში. ისინი ნიშნავს გაურკვევლობის შედეგს აღნიშნულ საინვესტიციო შეთანხმებასთან დაკავშირებით.“³²

³¹ ა.გოგბერაშვილი. საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია და უცხოური ინვესტიციების ეფექტურობა. ჟურნალი-მშენებლობა. ტექნიკური უნივერსიტეტი. #4(31) გვერდი 45-50. 2013 წელი

³² ე.კონჯარია. ფინანსური რისკი, როგორც მართვის ერთ-ერთი ობიექტი. გუგუშვილის ინსტიტუტის შრომათა კრებული. #8. გვ. 420-422. 2015 წ.

3.2. საინვესტიციო პროექტის მომგებიანობის ანალიზი

სახელმწიფო აქტიური ინვესტორია როგორც განვითარებული ასევე განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში. „სახელმწიფო ინვესტიციების არეალი, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, საკმაოდ ფართოა. ის დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო საკუთრების მასშტაბებზე, ისე განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებზე. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი ინვესტიციათა საერთო მოცულობაში 10-20%-ს შეადგენს განვითარებად ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს წილი ტრადიციულად უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები საერთო ინვესტიციების 40-60%-ია, ხოლო ზოგიერთ დარგებში (ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ელექტროენერჯის წარმოება და სხვა) 100%-მდე შეადგენს. უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება: განათავსოს იგი იმ დარგებში და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო გამოიყენება, რაღა კაპიტალის მოზიდვით მიღებული იქნეს მაქსიმალური დადებითი შედეგები. ეროვნული კაპიტალის მუდმივად უკმარისობისა და მსოფლიოს ბაზარზე კაპიტალის ნაკლებობის პირობებში, უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას მიმღები ქვეყანა დგება შემდეგი პრობლემების წინაშე როგორ იქნეს მოზიდული ქვეყანაში უცხოური ინვესტიცია: მოზიდული ინვესტიციით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი, მიღწეულ იქნეს ეროვნული ინტერესების შესაბამისი მიზანი“³³.

ინვესტიციების ფინანსური და ოპერაციული ეფექტურობის შესწავლისას ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ ფაქტორებზე:

³³ ა.გოგბერაშვილი. საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია და უცხოური ინვესტიციების ეფექტურობა. ჟურნალი-მშენებლობა. ტექნიკური უნივერსიტეტი. #4(31) გვერდი 45-50. 2013 წელი

- საინვესტიციო პროექტებიდან რამდენი ჩამორჩება გეგმას ან დაგეგმილ წარმადობას ვერ აღწევს;
- რამდენი საინვესტიციო პროექტი იყო წამგებიანი;
- მიუხედავად ამისა ინვესტორთა დაახლოებით 1/3 მაინც გეგმავდა დამატებით მიწის შეძენას (ყიდვას, იჯარით ან კონცესიით აღებას);
- საინვესტიციო პროექტის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ ინვესტორები მიწის/პროექტის მიტოვებას აპირებდნენ;

„დამაბრკოლებელ ფაქტორებს შორის სახელდება:

- უცხოელთა მიერ სოფლის მეურნეობაში ინვესტირების მარეგულირებელი პოლიტიკისა და კანონმდებლობის ბუნდოვანება, გაუმჭვირვალობა და არათანამიმდევრულობა, მათ შორის ისეთ საკიტხებზე, როგორცაა მიწის შესყიდვა ან იჯარით აღება;
- მიწის ინვენტარიზაციისა და რეგისტრაციის პროგრამების განხორციელების აუცილებლობა ზღუდავს დავების აღბათობას;
- მთავრობამ ინვესტორები მოატყუა, მისცეს უფლებებით დატვირთული მიწები და დავების მოგვარებაში არ ჩაერივნენ;
- ზოგმა უპასუხისმგებლოდ, იაფად შეძენილი მიწა სესხის უზრუნველსაყოფად გამოიყენა;
- აგროსექტორში შედარებით მცირე ინვესტიციები უფრო წარმატებული აღმოჩნდა ვიდრე მსხვილმასშტაბიანი. 1000 ჰექტარზე ნაკლები ფართობის მქონე პროექტების 70% უკვე მომგებიანი აღმოჩნდა და ამ მასშტაბის პროექტების მხოლოდ 10% ჩამორჩებოდა დაგეგმილ გრაფიკს. 50 000 ჰექტარზე მეტი ფართობის მქონე საინვესტიციო პროექტების მხოლოდ 1/3 არის მომგებიანი, 2/3 კი ჩამორჩება გრაფიკს.“³⁴

³⁴ ცაავა გ. მცირე ბიზნესის საინვესტიციო ანალიზის თავისებურებები, ღირებულების შეფასება და დივიდენდური პოლიტიკა. ჟურნალი-მეცნიერებ და ცხოვრება. #1(9). გვ. 35-40. 2014 წელი

ინვესტიციათა სოციალურ-ეკონომიკური შედეგები:

- დადებით შედეგებს შორის ყველაზე ხშირად დასაქმება სახელდება, კერძოდ სამუშაო ადგილების შექმნა ცენტრიდან დაშორებულ ტერიტორიებზე, სადაც მანამდე ოფიციალურად დასაქმების შესაძლებლობები არ არსებობდა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მონაცემებზე დაყრდნობით ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული საინვესტიციო პროექტების შედეგად 7 500 ადამიანი დასაქმდა. შექმნილი სამუშაო ადგილებიდან ნახევარი იყო მუდმივი, ნახევარი კი დროებითი ან სეზონური, ასევე დღიური;
- უმრავლეს შემთხვევაში საინვესტიციო პროექტებში დასაქმებულები იღებდნენ უფრო მეტ ანაზღაურებას, ვიდრე ზოგადად ხელმისაწვდომი იყო კონკრეტულ არეალში;
- იყო შემთხვევები, როდესაც დროებით და დღიურად დასაქმებულთა სახელშეკრულებო პირობები უფრო სუსტი იყო, ვიდრე ხანგრძლივადიანი ხელშეკრულებით დასაქმებულთა პირობები, რიგ შემთხვევებში ხელშეკრულებები საერთოდ არ იღებოდა;
- დასაქმებულთა შორის მიგრანტების წილი დაბალია, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შესწავლილ საინვესტიციო პროექტებში მუდმივად დასაქმებული მიგრანტების რაოდენობა 3%-ზე ნაკლებს შეადგენს, მათ ძირითადად მმართველობითი და საზედამხედველო თანამდებობები უკავიათ;
- დაბალკვალიფიციურ, არაკვალიფიციურ და სეზონურ სამუშაოებს თითქმის ყველა შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობა ასრულებს.
- წარმოებულ პროდუქციაზე ხშირად ფასები სადაოა და ფასწარმოქმნის მექანიზმი არ არის გამჭვირვალე;

- კონფლიქტის წყარო ხშირად ყოფილა ინვესტორი კომპანიის მიერ საფასურის გადაუხდელობა ან დაგვიანება, პროდუქტის შეთანხმებული ფასისგან განსხვავებულ ფასად შეძენა,

სასურსათო უსაფრთხოება:

- ინვესტორები აღნიშნავენ, რომ ადგილობრივთა დასაქმებით და შესაბამისად მათი შემოსავლების ზრდით მათ წვლილი შეაქვთ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ადგილობრივ დონეზე, მაგრამ სინამდვილეში ინვესტირების მიერ შექმნილი სამუშაო ადგილების საგულისხმო ნაწილი დღიური, სეზონური და არასტაბილურია, ამიტომ ასეთი სამუშაო ადგილების შექმნით შეტანილი წვლილი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოა. დასაქმებულებს უნდა ჰქონდეთ ისეთი მუდმივი ანაზღაურება, რომელიც შესაძლებელს გახდის მათთვის და მათი ოჯახებისათვის ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის მიღწევას;
- აგროსექტორში საინვესტიციო პროექტების განხორციელებამ შეცვალა ადგილობრივი თემების მიწაზე და მიწასთან დაკავშირებულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა;
- სასოფლო-სამეურნეო ინვესტიციას მაშინ შეაქვს პირდაპირი წვლილი ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოებაში, როდესაც საინვესტიციო პროექტის შედეგად იზრდება ადგილობრივი (შიდა) მოხმარებისათვის გამიზნული საკვები კულტურების მოცულობა
- 5 წლის განმავლობაში საქართველოს აგროსექტორში შემოსული ინვესტირების მხოლოდ 1/3 აწარმოებს საკვებ კულტურებს შიდა ბაზრისათვის, 2/3-ი კი ახდენს წარმოებული საკვები კულტურების დიდი ნაწილის ექსპორტს საქართველოს ფარგლებს გარეთ. უცხოელ ინვესტორთა უმეტესობა სასურსათო და არასასურსათო კულტურებს უცხოელი მომხმარებლებისთვის აწარმოებს, მაშინ, როდესაც ქართველ ინვესტორთა 65% პროდუქტს შიდა ბაზრისთვის აწარმოებს.

უფლებები და მიწებზე ხელმისაწვდომობა:

- უცხოელი ინვესტორებისათვის გამოყოფილი მიწები ნაწილობრივ მოიცავდა ადგილობრივი თემების ტყეს, საკრალურ ადგილებს ან სხვა სახის დაცულ ტერიტორიებს და არ მოხდა მათი გამიჯვნა;
- მოხდა მოიალალეების/მწყემსების საძოვრებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ადგილობრივ თემებს ასევე აკრძალათ ველური მცენარეების შეგროვება, ნადირობა, თევზჭერა, შემის შეგროვება და ა.შ.

3.3. საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი

„საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ არსებული საინვესტიციო პოლიტიკის შეფასება, განვახორციელოთ სტრატეგიის კორექტირება, ოპტიმიზაცია, რათა მივიღოთ მეტი ეფექტი. საინვესტიციო სამიქნობის მომგებიანობის ანალიზის დროს უნდა გავითვალისწინოთ: საინვესტიციო პროექტის ღირებულება, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, მარკეტინგული კვლევები, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები, პირდაპირი მარკეტინგი, უსაფრთხოების ხარჯები და ა.შ.“³⁵ ნებისმიერი საინვესტიციო პროექტის განხორციელების უმთავრესი დანიშნულებაა მოგების მიღება. ჩვენი მოგების მარჯა არის თანხა, რომელიც რჩება გასაყიდი ფასიდან ხარჯების დაქვითვის შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩვენ ვყიდით საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ პროდუქტს 100 ევროდ და მისი წარმოება და მიწოდება გივჯდებათ 75 ევრო, ჩვენი მოგების მარჯაა 25 ევრო. ამავდროულად, მნიშვნელოვანია განსხვავების ცოდნა წმინდა და მთლიან მოგებას შორის:

³⁵ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 64-65

- მთლიანი მოგება არის მოგება პირდაპირი ხარჯების გამოკლების შემდეგ, ანუ იმ ხარჯების გამოკლების შემდეგ, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება პროდუქტს ან სერვისს, როგორებიცაა, მაგალითად, ნედლეული, პერსონალის ხარჯები, ტრანსპორტი და ა.შ.;
- სუფთა მოგება არის მოგება მთლიანი მოგებიდან ყველა დამატებითი ზედნადები ხარჯების გამოკლების შემდეგ, როგორებიცაა: პერსონალის, ელექტროენერჯის, დაზღვევის და ა.შ. ხარჯები.

მომგებიანობის ანალიზის ძირითადი კოეფიციენტებია:

- მთლიანი მოგება: აფასებს ბიზნესის შესაძლებლობას, გაყიდოს დანამატით პირდაპირ დანახარჯებთან შედარებით;
- EBITDA (მოგება პროცენტების, გადასახადების, ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვამდე): აფასებს ჩვენი კომპანიის ფულის გამომუშავების შესაძლებლობას, სანამ განვიხილავთ ბიზნესში ინვესტირებული თანხების მოცულობას.

„მენეჯერები ხშირად უფრო მეტ ყურადღებას ხარჯავენ იმაზე, რომ გაზარდონ ორგანიზაციის მოგება და არა იმაზე, რომ მისი მომგებიანობა გაზარდონ. ეს ორი რამ რაღაც დონეზე კი რა თქმა უნდა ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან. მომგებიანობის გაზრდას უფრო მაგარი კადრები, უკეთესი სისტემები და უფრო ძლიერი და ცნობადი ბრენდი სჭირდება, რაც ხშირ შემთხვევაში სწორედ ხარჯების ზრდასთან არის დაკავშირებული და მიმდინარე მოგების შემცირებას იწვევს. მაშინ როდესაც თუ მაგაზე არ იზრუნებ მიმდინარე მოგება შეიძლება კი გაზარდო, მაგრამ მომგებიანობას ნამდვილად ვერ გაზრდი და შესაძლოა პირიქით შეამცირო კიდევ.“³⁶

³⁶ მახვილაძე დ. უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მათი რეგულირება. დისერტაცია. გვ. 82-86 2018 წელი.


საინვესტიციო მოგება არის მაჩვენებელი, რომელიც ზომავს საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობას. ეს გვიჩვენებს, არის თუ რა შემოთავაზებული ინვესტიცია მომგებიანი. როგორ გამოითვლება მომგებიანობა?

საწყისი ფორმულა: მოგება = (მოგება / ინვესტიცია) x 100.

საინვესტიციო საქმიანობის მომგებიანობის შესაფასებლად უმნიშვნელოვანესია რისკების დივერსიფიკაცია, რაც ნიშნავს ინვესტიციების განხორციელებას სხვადასხვა სახის ინსტრუმენტებში (როგორცაა აქციები, ობლიგაციები, უძრავი ქონება და ა.შ.) მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კაპიტალი სხვადასხვა ინსტრუმენტებში ხელს უწყობს საინვესტიციო რისკების შემცირებას. „საინვესტიციო რისკი-ეს არის გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში. უპირველესად უნდა მოხდეს საინვესტიციო რისკის შეფასება, იგი ყოველთვის დაკავშირებულია მოსალოდნელი შემოსავლების შეფასებისა და მათი დანაკარგების ალბათობასთან. ფინანსური დანაკარგების შეფასებისათვის იყენებენ აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებს. ფინანსური დანაკარგების აბსოლუტური სიდიდე დაკავშირებულია საინვესტიციო რისკთან-ეს არის ინვესტორისათვის მიყენებული ან პოტენციურად შესაძლო ზარალის ოდენობა არასასურველი გარემოებების დადგომისთან დაკავშირებით. (რაც დამახასიათებელია ასეთი სახის რისკისათვის) ფინანსური დანაკარგების შეფარდებითი სიდიდე კი იანგარიშება ზარალის სიდიდის შეფარდებით შერჩეულ საბაზრო მაჩვენებლებთან. (მოსალოდნელი შემოსავლის სიდიდესთან. ინვესტირებადი კაპიტალის სიდიდესთან და ა.შ). ინვესტორები ხშირად იყენებენ რისკების შეფასების ექსპერტულ მეთოდს, ეს ხდება იმ შემთვევაში, როდესაც არ არსებობს საინფორმაციო და სტატისტიკური მონაცემები, ან როდესაც პროექტს არ გააჩნია ანალოგი. იგი დაფუძნებულია სპეციალისტების გამოკითხვაზე და გამოკითხვის შედეგების სტატისტიკურ დამუშავებაზე.“³⁷

³⁷ ლ.გვაჯაია, თ.გოგოლაძე. საინვესტიციო რისკების მართვა. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #1-2. გვ. 67-70. 1,-6 წელი.

ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია



მშპ ერთ სულ მოსახლეზე


საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების 2019 წლის იანვრის მონაცემებით 2018 წლის პირველი სამი კვარტალის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი ინვესტიციებმა და მარაგების ცვლილებამ შეიტანა.

წმინდა ექსპორტის წილი 2018 წლის პირველ ნახევარში უარყოფითი იყო 2017 წლისგან განსხვავებით, რაც გამოწვეული იყო იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით ექსპორტთან შედარებით. მესამე კვარტალში წმინდა ექსპორტი კვლავ გაუმჯობესდა და დადებითი წვლილი შეიტანა ზრდაში. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ კვლავ წმინდა ექსპორტი იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი. ასევე, მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება ვაჭრობით იყოს გამოწვეული.

ზრდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება ინვესტიციები. ამასთან, განხორციელებული რეფორმები ორიენტირებულია ქვეყანაში დანაზოგებისა და ინვესტიციების ზრდაზე.

მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის მოწყვლადობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. ამიტომ, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რეფორმები დანაზოგების წასახალისებლად,


ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება



მწარმოებლურობისა და ექსპორტის ზრდისთვის. შიდა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში დიდად შეუწყო ხელი 2017 წლიდან ამოქმედებულმა მოგების გადასახადის რეფორმამ. რეფორმის ფარგლებში, რეინვესტირებული მოგება გათავისუფლდა მოგების გადასახადით დაბეგვრისგან.

„მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში გაუმჯობესებულია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. 2018 წლის მესამე კვარტალში, ადგილი ჰქონდა მიმდინარე ანგარიშის დადებით სალდოს 0.3 პროცენტის ოდენობით, ხოლო დეფიციტის დაფინანსების კუთხით პირდაპირმა

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების წყაროები



უცხოურმა ინვესტიციებმა 6.3 პროცენტის წილი შეიტანა, ხოლო ვალის დაფინანსების საჭიროების არ არსებობის გამო ვალის წილმა დაფინანსებაში უარყოფითი მაჩვენებელი, - 6.6 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ბოლო წლების მანძილზე³⁸.

2018 წლის პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ მშპ-ს 8.6% შეადგინა. პირველ კვარტალში ეს მაჩვენებელი 7.9% ტოლია, მეორე კვარტალში კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-სთან 9.4% იყო, ხოლო მესამე კვარტალში 7.7%. მესამე კვარტალში ყველაზე დიდი მოცულობით ინვესტიციები განხორციელდა დამამუშავებელ მრეწველობაში - 17.5%, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში - 16.9% და ენერგეტიკაში - 14.3%. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება, რაც სტაბილურად მთლიანი შიდა პროდუქტის 10%-ის გარშემოა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით შეინიშნება ინვესტიციების კლება,

³⁸ შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 67-69

რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულების ფაზა, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება. 2018 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 323 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მთლიან შიდა პროდუქტთან 7,7 %.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი 2017 წლის განმავლობაში ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა და 25.8% შეადგინა, საფინანსო სექტორში - 16.0%, მშენებლობაში - 14.9 პროცენტი, ენერჯეტიკაში - 11.8 პროცენტი, უძრავ ქონებაში - 9.6 პროცენტი, დამამუშავებელ მრეწველობაში - 5.2 პროცენტი, სასტუმროებსა და რესტორნებში - 3.8 პროცენტი, ხოლო სამთომომპოვებით მრეწველობაში - 2.7 პროცენტი.

„დივერსიფიკაციის ზრდა ახალ სექტორებში ინვესტირებით. მაგალითად, 2015 წელს დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვაში განხორციელებული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა წინა წლებთან შედარებით. 2016 წელს კი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია ინვესტიცია კავშირგაბმულობის სექტორში, სადაც განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 3.8% შეადგინა. რაც შეეხება 2017 წელს, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინვესტიციები საფინანსო და სამშენებლო სექტორში. საფინანსო სექტორში ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 16.0% შეადგინა, ხოლო სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციები FDI-ის 14.9% იყო. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა 2018 წლის დასაწყისშიც, თუმცა მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციები ენერჯეტიკის სექტორში, რამაც ამ პერიოდში მთლიანი FDI-ის 28.0% შეადგინა, 2018 წლის პირველ სამ კვარტალში განხორციელებული ინვესტიციების 19.7% საფინანსო სექტორში განხორციელდა, 17.3% - ტრანსპორტის სექტორში, ხოლო 15.4% - ენერჯეტიკის სექტორში.“³⁹


³⁹ ბარათაშვილი ევგ. ბაგრატიონი ლ. კვამბერიძე თ. სახელმწიფო ინვესტიციების ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. სახელმძღვანელო. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. გვ. 156-164. 2016 წელი

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების სამეულში 2017 წლისთვის პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 24.5%-ით, მეორე ადგილზე - ნიდერლანდები 18.85%-ით, ხოლო მესამე ადგილი თურქეთს უკავია და განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი FDI-ის 15.2 % შეადგინა.

რაც შეეხება 2018 წლის მესამე კვარტალს, პირველ ადგილზე ნიდერლანდებია (15.4%), შემდეგ მოდის კორეა (12.5%) და აზერბაიჯანი (10.3%). „მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელს რეინვესტირებაში დაფიქსირდა უმაღლესი მაჩვენებელი და შეადგინა FDI-ის 32%, ხოლო 2017 წელს 43.9%, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემო დადებითად აღიქმება ინვესტორების მიერ და მეტი ინვესტორი აგრძელებს ბიზნეს გეგმებს საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები რეინვესტირების მაღალი დონის შენარჩუნებისა და საშუალო და გრძელვადიანი პერიოდის ზრდის წინაპირობაა. აღსანიშნავია. რომ ხორციელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაწილის რეინვესტირება.“⁴⁰ წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რეინვესტირება მნიშვნელოვნად არის გაზრდილი 2017 წლიდან, რაც მოგების გადასახადის რეფორმასა და ე.წ ესტონური მოდელის შემოღებას უკავშირდება და გულისხმობს, რომ რეინვესტირებული მოგება არ იბეგრება. 2018 წელს ჯამურად გაზრდილია ექსპორტი 22.6%-ით, ხოლო იმპორტის ზრდამ 14.9% შეადგინა, საიდანაც 11.2 პროცენტი გამოწვეული იყო კაპიტალისა და შუალედური საქონლის იმპორტის ზრდით. გასულ წლებთან შედარებით გაზრდილია საინვესტიციო საქონლის იმპორტი.

⁴⁰ მახვილაძე დ. უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მათი რეგულირება. დისერტაცია. გვ. 82-86 2018 წელი.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების 2019 წლის იანვრის მონაცემები, გვ. 8 (<https://mof.ge/images/File/Outlook-January-2019-GEO.pdf>)


გადამოწმებულია-19.05.201

წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (%-ად მშპ-სთან)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების 2019 წლის იანვრის მონაცემები, გვ. 9 (<https://mof.ge/images/File/Outlook-January-2019-GEO.pdf>)
გადამოწმებულია-19.05.2019

იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების 2019 წლის იანვრის მონაცემები, გვ. 11 (<https://mof.ge/images/File/Outlook-January-2019-GEO.pdf>)

გადამოწმებულია-19.05.2019

დასკვნები:

ეკონომიკური სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობა არის სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარიან მოთხოვნას ინვესტიციებზე. ქვეყნის, რეგონის, და დარგის საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.

კვლევის ძირითად შედეგად ვაჩვენებთ მას, რომ მიმზიდველია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც არ იწვევენ შიდა მოხმარების შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას და სახელმწიფო ვალის ზრდას;

მიღებული შედეგის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალობა, რადგან საქართველოს ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში აქვს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიდრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო.

სამაგისტრო ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას განსაზღვრავს ჩვენი მცდელობა მოვახდინოთ საინვესტიციო პროცესების შეფასების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფა.

პერსპექტიული გამოყენების სფეროდ ვთვლით ქვეყნის შიდა საინვესტიციო გარემოს, ასევე იმ სახელმწიფო ინსტიტუციებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ქვეყნის სწორი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე.

საკითხის შესწავლამ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მოგვცა:

- ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიღრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო;
- ე.წ. განვითარებადი ქვეყნებში, რომელთა რიცხვსაც საქართველოც მიეკუთვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ისინი მზად არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებული მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილონ;
- მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით ქვეყნის საინვესტიციო მომხიბლველობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია: კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა. ეს უკანასკნელი შესაძლოა საფრთხის მატარებელი იყოს განვითარებადი ქვეყნისათვის, ვგულისხმობთ „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვას, ამას შეგვიძლია ინვესტიციური სიხარბის კლასიფიკაცია მივცეთ რამაც მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან;
- ახალი თანამედროვე საერთაშორისო დონის წარმოების დასაწყებად ინვესტიციების მოზიდვაზე ყურადღების გამახვილებით საქართველომ უნდა შეძლოს პრაქტიკული სტრატეგიების შერწყმა და უცხოური კაპიტალის დახმარებით ადგილობრივი ბაზრების აღორძინება-განვითარება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.

- მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო გარემოზე, განეკუთვნებიან: პოლიტიკური განუსაზღვრელობა, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, გადასახადები, სამართლებრივი რეგულირება, კორუფცია და ა.შ.
- საჭიროა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესება და შიდა ინვესტიციური შესაძლებლობების განვითარება;
- აუცილებელია სახელმწიფოს საინვესტიციო აქტივობის გაზრდა და ინვესტიციების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა;
- მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა მიეცეს მეტი სტიმული საინვესტიციო პროექტებში ჩასართავად;
- აუცილებელია რეგიონებში განვითარდეს საინვესტიციო პოლიტიკა და კულტურა, რასაც პოზიტიური მუხტის შეტანა შეუძლია საინვესტიციო საქმიანობის განვითარებაში;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ. ინვესტიციების მოზიდვის პრობლემები საქართველოს მრეწველობაში და მისი გადაჭრის გზები. დისერტაცია. გვ. 133-139. 2018 წელი
2. მახვილაძე დ. უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მათი რეგულირება. დისერტაცია. გვ. 82-86 2018 წელი.
3. შ.ქურდაძე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. დისერტაცია. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბ. 2018. გვ. 64-65
4. კვანჭილაშვილი ე., გემრიელი ინვესტიციები: ქართული თხილის საექსპორტო წარმოება საქართველოს ბაზარზე Ferrer-ს გამოჩენით იწყება.. ჟურნალი-Forbes Property. ივლისი. 2017 წელი. გვ. 80-83
5. ბარათაშვილი ევგ. ბაგრატიონი ლ. კვაზირიძე თ. სახელმწიფო ინვესტიციების ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. სახელმძღვანელო. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. გვ. 156-164. 2016 წელი
6. დევაძე ს. საინვესტიციო პოლიტიკა და პროექტებზე მოქმედი რისკ-ფაქტორები. ჟურნალი-ინოვაციური ეკონომიკა და მართვა. #3. გვ. 114-118. 2016 წელი
7. გვაჯაია ლ., გოგოლაძე თ. საინვესტიციო რისკების მართვა. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #1-2. გვ. 67-70. 2016 წელი.
8. ხარხელაური ხ. საინვესტიციო პროექტის შეფასება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში. ჟურნალი-SEU and Science. #4(4). გვ. 211-217. 2016 წელი
9. ქუთათელაძე ა. მატუა თ., საინვესტიციო პროექტების მართვის საშუალებების ანალიზი. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #1-2. გვ. 49-52. 2016 წელი;
10. ურუშაძე გ. უცხოური ინვესტიციები და საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზები. გვ. 134-141. 2015 წელი

11. ქუთათელაძე რ., ყურაშვილი გ., ინვესტიციების ადგილი და როლი ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებაში. ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3. გვ. 76-79. 2015 წელი
12. ჩიხლაძე ნ., რუსაძე ნ., საბიუჯეტო ინვესტიციების როლი საქართველოს რეგიონების განვითარებაში, ჟურნალი-ბიზნესინჟინერინგი. #3, გვ. 152-156. 2015 წელი
13. ჰასრათოვა თ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო გარემოს თავისებურებები საქართველოში. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული. #6. გვ. 125-127. 2015 წელი;
14. ფარჯიანი შ. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (სტატისტიკური მიმოხილვა). ჟურნალი-ეკონომიკა და ბიზნესი. თსუ. #3. გვ. 151-162. 2015 წელი;
15. კონჯარია ე. ფინანსური რისკი, როგორც მართვის ერთ-ერთი ობიექტი. გუგუშვილის ინსტიტუტის შრომათა კრებული. #8. გვ. 420-422. 2015 წელი
16. ლაბარტყავა გ. ინვესტიციების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის ეფექტური გზა: საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები. ჟურნალი-მომამბე. #22. გვ. 5-7. 2015 წელი
17. ცერცვაძე ა. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში“. ჟურნალი-ახალი ეკონომისტი. თბ. 2015. გვ. 44-46.
18. ცაავა გ. მცირე ბიზნესის საინვესტიციო ანალიზის თავისებურებები, ღირებულების შეფასება და დივიდენდური პოლიტიკა. ჟურნალი-მეცნიერებ და ცხოვრება. #1(9). გვ. 35-40. 2014 წელი
19. გოგბერაშვილი ა., საინვესტიციო რისკის მინიმიზაცია და უცხოური ინვესტიციების ეფექტურობა. ჟურნალი-მშენებლობა. ტექნიკური უნივერსიტეტი. #4(31). გვ. 45-50. 2013 წელი.

20. რ.ცინარიძე, რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი. დისერტაცია. 2012 წ. გვ. 73

ინტერნეტრესურსები:

1. <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
2. https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. https://www.ifc.org/wps/wcm/connect/81e3d065-3d86-4eb8-9ae6-92457521d76b/GEO_Georgia_Business_Perceptions_Survey_2015_Final.pdf?MOD=AJPERES
საქართველოს საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის პროექტი, ივნისი, 2016
4. <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
5. https://www.bp.com/content/dam/bp/country-sites/ka_ge/georgia/home/sustainabilityreportsgeo/sustrep2010.pdf
BP საქართველოში-მდგრადი განვითარების ანგარიში 2014 (გადამოწმებულია 26.05.2019)
6. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ჟურნალი „ანაკლია“ #5 დეკემბერი. 2017. გვ. 10 http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf გადამოწმებულია 26.04.2019.


დანართები:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (<http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>) გადამოწმებულია 19.05.2019

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით




წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (<http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>) გადამოწმებულია 19.05.2019

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (<http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>) გადამოწმებულია 19.05.2019

რეინვესტირების მოცულობა (FDI)



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (<http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>) გადამოწმებულია 19.05.2019